საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ლელო

№ 58
(11 207)

24 – 27 ივლისი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

*იმ ორგანიზაციებს შორის, რომელსაც დღეს სათავეში უდგანან ქართული ფეხბურთის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც არიან ალექსანდრე ჩივაძე (მარცხნივ) და კახი ასათიანი, განა შეიძლება უთანხმოება იყოს? ნუთუ გარეშე ძალები უფრო ძლიერია?*

# თამაში ფეხბურთის ყანაში

**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და ფეხბურთის ფედერაციამ ერთმანეთს შორის გაუგებრობების დასაძლევად გადადგეს ნაბიჯი. მაგრამ როგორც ჩანს, ვერტიკალურ სტრუქტურებში ზოგიერთები ისევ დაძაბულობის შენარჩუნებით არიან დაინტერესებულნი.**

ოფიციალურად ეს შეხვედრა, რომელიც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გასულ სამშაბათს გაიმართა, დეპარტამენტის საბჭოსა და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ერთობლივ სხდომად იყო გამოცხადებული. გავუსწრებთ მოვლენებს და საბჭოს წევრის, ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის ომარ გოგიაშვილის გამოსვლიდან ერთ ფრაზას დავესესხებით, რომ „ეს იყო დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა". ნანატრ შეხვედრას კი, მოგეხსენებათ, თავისი ხიბლი აქვს და, იქნებ ამიტომაც ამ „პაემანზე" დასასწრებად (ცხადია, ორივე მხარის თანხმობით) ქართველ ჟურნალისტთა კორპუსიც დაიძრა. სფფ-ს აღმასკომის გუნდს კი ის წევრებიც არ დაკლებიან, რომლებიც პარლამენტარები არიან და ახლა არდადეგები აქვთ.

**ამ დღეებში ფიფა საგანგებო კომისიას გააგზავნის პოლონეთში, რომელიც ქვეყანაში ფეხბურთში შექმნილ სიტუაციას შეისწავლის. სიტუაცია კი მართლაც არაორდინარულია – ფეხბურთის ეროვნული ფედერაციიდან ერთბაშად დაითხოვეს... ყველა ხელმძღვანელი. ამ აქციას ფიფას მუქარა მოჰყვა, რომლის შინაარსი ასეთია: პოლონეთის ყველა კლუბი და ეროვნული ნაკრები მოიხსნება საერთაშორისო ტურნირებიდან.**

**პოლონეთის სპორტის მინისტრი იაცეკ დებსკი თვლის, რომ სწორად მოიქცა, როცა ფეხბურთის ხელმძღვანელების სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი დასვა, რადგან ფეხბურთის ჩინოვნიკები მძარცველებად იქცნენ.**

**ფიფას პრეზიდენტი ბლატერი იმედს არ კარგავს, რომ დაპირისპირებული მხარეები, ფიფას კომისიასთან ერთად, გამონახავენ საერთო ენას და პოლონეთის ფეხბურთში წესრიგი დამყარდება.**

ერთი შეხედვით, ეს შენიღბული აჟიოტაჟი თითქოს რაღაცას მოასწავებდა, მაგრამ მასპინძელთა თავკაცმა კახი ასათიანმა, რომელიც სხდომას უძღვებოდა, თავიდანვე თბილი და მეგობრული საუბრით შეეცადა გაექარწყლებინა, თუ ვინმეს გააჩნდა დაპირისპირებისა და უაზრო დებატების სურვილი. თუმცა გარკვეულ დრომდე... მერე მოჩვენებითმა თავშეკავებამ მაინც მოარღვია „ჯებირები", მაგრამ ეს მერე იყო, მანამდე კი...

**კახი ასათიანი:** „მთავარი თემა ჩვენი შეხვედრისა არის ქართული ფეხბურთის მომავალზე ერთობლივად ფიქრი და ზრუნვა. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, ადრე, რაც გამართლებული იყო პოლიტიკურად, მაგრამ გაუმართლებელი იყო სპორტული თვალსაზრისით, ისტორიას უნდა ჩაბარდეს, წესრიგი უნდა დამყარდეს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობების ჩატარებაში. დელეგატები უნდა იყვნენ ისინი, ვინც ღირსნი არიან. ფედერაციის ახალმა შემადგენლობამ უნდა იპოვოს გზები და საშუალებები კონტაქტების დასარეგულირებლად..."

დეპარტამენტის თავმჯდომარემ მერე ისიც თქვა, რომ მას სხვა აზრი ჰქონდა სფფ-ს ყრილობის ჩატარების ვადებთან დაკავშირებით, მაგრამ რაკი საპარლამენტო კომიტეტმა და ქვეკომიტეტმა ყრილობის გადავადება ურჩია სფფ-ს, ისიც დათანხმდა, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელი.

ძირითადი საკითხი ამ შეხვედრაზე მაინც ყრილობის ჩატარების თარიღის დადგენა იყო, აქ კი მთავარი სიტყვა სფფ-ს აღმასკომს უნდა ეთქვა და თქვა კიდეც.

**დავით კვინიკაძე:** „8 მაისს დავადგინეთ დელეგატთა კვოტები, მაგრამ იყო აზრთა სხვადასხვაობა და ჩვენც კორექტივები შევიტანეთ აღმასკომის გადაწყვეტილებაში – დელეგატთა რიცხვი 37-ით გაიზარდა. ადგილები მივეცით სპორტულ საზოგადოებებს, სპორტის აკადემიის და ფეხბურთის კათედრას, ჟურნალისტებს, გავითვალისწინეთ დამსახურებული ადამიანებიც და ა.შ. შევიკრიბეთ და ვიმსჯელეთ, გადაგვეტანა თუ არა ყრილობა და აი, მოვედით დღევანდელ დღემდე. დღეს კი, ამ დილით, აღმასკომი შეიკრიბა და დავადგინეთ, რომ ყრილობა ჩატარდეს 23 ოქტომბერს".

აი, ამის შემდეგ გამოცოცხლდა დარბაზი. ერთნი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ თუკი თარიღი უკვე დადგენილია და, როგორც დ. კვინიკაძემ განაცხადა, არაფერი შეიცვლება, მაშინ საერთოდ რა საჭირო იყო ეს შეხვედრა, ზოგმა რეპლიკით მოითხოვა ასე შორს ყრილობის გადატანის მოტივის დასაბუთება და პასუხად ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვ. გუცაევის პოზიციის გათვალისწინება მიიღო.

იმავე საკითხზე ჯანო ბაგრატიონმა დამსწრეთ მოაგონა, რომ არსებობს კვოტების განაწილების საერთაშორისო წესები და ყოველგვარ გაუგებრობებს მოელება ბოლო თუ მას გამოვიყენებთ სახელმძღვანელოდ. ხოლო ყრილობის გადადებასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ეს ღონისძიება, რაც შორს გადაიწევს, მით უფრო უარესია საქმისთვის, ორგანიზაციული საკითხების მოგვარება კი გაცილებით ადრეა შესაძლებელიო.

სხდომას, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო აშკარად ემჩნეოდა, რომ ნაღდ სათქმელს ბევრი გულში მალავდა და ნიღბიდან იმზირებოდა. ამას ზოგიერთ სტუმარზე ვამბობთ. ერთადერთი, ვინც ამ ვითარებაში ადგა და სიმართლე ხმამაღლა თქვა, ისევ კახი ასათიანი იყო. მან ეჭვქვეშ დააყენა ის გარემოება, რომ მაღალ ინსტანციებში, რატომღაც ბევრი დაინტერესდა ყრილობის გადადებით, მიზეზს კი არ ამხელენ. თუკი ყველაფერი მზადაა ყრილობისათვის, გაუგებარია, რატომ უნდა გადაიდოს იგი კიდევ რამდენიმე თვით...

ისე, მართლა უცნაურია, ქვეყანაში სპორტის ხელმძღვანელ სახელმწიფო სტრუქტურისა და მისი ხელმძღვანელის ზურგსუკან წყდებოდეს ქართული ფეხბურთის ბედი, საერთოდ ქართულ სპორტზე კი პასუხს ამ სტრუქტურას სთხოვდე, თანაც სფფ ყრილობის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას ავალებდე... იქნებ ეს ყველაფერი მართლაც ბინძური თამაშია და იციან, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ასეთ თამაშში ვერ ჩაითრევენ.

ვის სასარგებლოდ ჩაირთო წამზომი? დღესდღეობით, ყოველ შემთხვევაში, იმათ სასარგებლოდ არა, ვინც თავიდან წამოაყენა ყრილობის გადავადების საკითხი და გაიტანა კიდეც თავისი. მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, საბოლოოდ, სწორედ ისინი დარჩნენ გაწბილებულნი, ვისაც ეგონა ამ ეტაპზე თუ თავის პრინციპებს გაიტანდა, მოგებული დარჩებოდა. დაიხსომეთ, მოგებული შეიძლება ბოლოს სულ სხვა ძალა და დღეს ჯერ კიდევ უხილავი სფფ პრეზიდენტობის სულ სხვა კანდიდატი დარჩეს. ასე რომ...

ომარ გოგიაშვილის ფრაზით დავიწყეთ და სხდომაზე მისივე გამოსვლით დავამთავრებთ: „ახლა რომ ვილაპარაკოთ სფფ-ს და დეპარტამენტს შორის დაპირისპირება არ ყოფილაო, ფაქტს ვერსად გავექცევით. თუ გინდათ იყოთ მართალი შთამომავლობასთან, ეგებ ორივე მხარე წახვიდეთ კომპრომისზე, მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომ აქედან გასულებს ერთმანეთთან მისასვლელი და საურთიერთობო გზები დაურჩეს. საქმეს სჭირდება ერთად ყოფნა. საზოგადოებრიობას მოსწყინდა ამდენი კინკლაობა და ერთხელაც იქნება, იტყვიან, თუ ჩხუბი გინდათ, ქუჩაში მიბრძანდით, აქ კი ისინი მოვლენ, ვისაც მუშაობა სურსო. იქნებ დღეს დაესვას წერტილი წარსულს"...

ეტყობა წერტილის დასმა ჯერ არავის სურს, რაკი „საკითხმა ზევით გადაინაცვლა".

არადა, მართლაც როგორ სჭირდება საქმეს ერთად ყოფნა...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" საგანგებო კორესპონდენტი დათო თავართქილაძე ფოთიდან იტყობინება

# შვიდწლიანი პაკუუმის აღსასრული

ზუსტად შვიდი წლის წინათ, ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ კი ფოთში, პირველად გამოჩნდნენ წყალსათხილამურო სპორტის უცხოელი ოსტატები. მაშინ საქართველოს სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ამჯერად, 1991 წლის შემდეგ მთლიანად გაპარტახებული და წლეულს „ფერფლიდან აღმდგარ" ბაზაზე, კვლავ ტარდება საერთაშორისო შეჯიბრება სახელწოდებით „ოქროს ტბის ოსტატები-98".



თუ გავითვალისწინებთ, რომ აგვისტოს პირველ დეკადაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება, გასაგებია ფოთის სტარტების უაღრესად დიდი მნიშვნელობა. მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ ეს ფაქტორიც გაზრდიდა ინტერესს ამ შეჯიბრებისადმი. თავიდან, კონკრეტულად კი გალის ახალ ტრაგედიამდე, მართლაც ბევრი იყო ფოთში საასპარეზოდ ჩამოსვლის მსურველი, ზოგიერთმა ქვეყანამ უარი შემოთვალა ჩვენში არასტაბილურობის მომიზეზებით. და მაინც, ფოთში თავი მოიყარეს ევროპის საუკეთესო წყალმოთხილამურეებმა, რომელთაგან 32 ვაჟია და 8 ქალი. ორგანიზატორებმა, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა რომან მელიამ, ფოთის მერიის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თანადგომით ყველაფერი გააკეთა ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ვნახოთ, ჯერჯერობით სტუმრები ბინავდებიან და პირველად გადიან წყალზე. ასპარეზობა 24 ივლისს დაიწყება. 23-ში საღამოს კი ეს ღონისძიება საზეიმოდ გაიხსნა.

**როგორც** ამას წინათ გაუწყეთ, „დინამო" – „მრეტების" ფინანსურ დავასთან დაკავშირებით ვაკის სასამართლომ გადაწყვეტილება „დინამოს" სასარგებლოდ გამოიტანა.

„ლელოს" დღევანდელი ნომრის მე-5-6 გვერდებზე გაეცნობით „დინამოს" ადვოკატის იმედა ხუციშვილის გამოსვლის ტექსტს სასამართლოში, რამაც ამ გაჭიანურებულ პროცესზე დინამოელთა გამარჯვება განაპირობა.




„დინამოსა" და „ვლაჟნიას" ულიმღამო მატჩში ერთი შთამბეჭდავი მომენტი მაინც ვნახეთ: ლევან ხომერიკს (ზოლიან მაისურში) ლამაზი თავური დარტყმით გოლი გააქვს მეტოქის კარში

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩები

იხ. მე-7 გვ.

მკლავჭიდი ● იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი

# ახალი სახელი — ლაშა ჩანადირი!

პირველი მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები მითაც იყო გამორჩეული, რომ პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების გარდა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტის ცალკეული სახეობებში, მათ შორის მკლავჭიდში, რაც ფაქტობრივად, იუნიორთა ოფიციალური მსოფლიო პირველობა იყო. საქართველომ, ცხადია, მიიღო მიწვევა, მაგრამ უსახსრობის გამო, გუნდი მოსკოვში ვერ ჩავიდა. ის იყო გამგზავრების ვადები იწურებოდა, რომ საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ მუსელიანმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი და ამჯერად დასახმარებლად ფირმა „იტერა — საქართველოს" მიაკითხა. ამ ფირმის წარმომადგენელმა ვაჟა სამადგვეთმეშმა, რომელიც წარსულში წყალბურთელი იყო, შემდეგ კი საქართველოში მკლავჭიდის დანერგვის სათავეებთანაც იდგა, დახმარების ხელი გაუწოდა ფედერაციას.


ლაშა ჩანადირი

— მხოლოდ ერთი დღე რჩებოდა მოსკოვში ჩემპიონატის დაწყებამდე: ბატონ ვაჟას და ფირმას ადრე გაუწევია ჩვენთვის დახმარება და მორიდებით ვთხოვე, ებებ ერთი პერსპექტიული მკლავჭიდელის, კერძოდ, მძიმეწონოსნის ლაშა ჩანადირის მივლინების ხარჯები გაეღო. დაუყოვნებლივ შეგვაშველა ხელი — გვეუბნება ვ. მუსელიანი.

● *შეგიძლიათ იამაყოს მიმავლინებელმაც და თქვენც, რომ ლაშამ გაამართლა — მსოფლიოს ჩემპიონი და პრიზიორი გახდა — ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა...*

— რა თქმა უნდა, გასახარი ფაქტია. მკლავჭიდში ერთსა და იმავე შეჯიბრებაში ორჯერ გამარჯვებას მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეული და უძლიერესთა შორის უძლიერესი აღწევენ. ლაშა ჩანადირს ორჯერ უხმეს საპატიო კვარცხლბეკზე. ოქროს მედალი გადაეცა ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაში — მარჯვენა ხელით აბსოლუტურ წონაში, ვერცხლის მედალი კი მარცხენა ხელით პაექრობაში მიიღო.

● *ლაშა რამდენი წლისაა?*

— თვრამეტისა ხდება.

● *ადრე ხომ მოზრდილთა ევროპის ჩემპიონატში გამოდიოდა...*

— მკლავჭიდში ეს დასაშვებია, ასაკს და პროფესიონალიზმს არა აქვს მნიშვნელობა, ოღონდ ეგაა ახალგაზრდებში ასაკოვანები ვერ იასპარეზებენ. გახსოვთ ალბათ, „ლელოშიც" წერდით, შარშან დიდებში ლაშა ჩანადირი ევროპის მესამე პრიზიორი. ამჯერად მოსკოვში ის მართლაც გამოჩნდა, უმეტესწილად კი.

● *გასაკვირია, „უპატრონო" ბიჭმა ამდენი რომ შეძლო, ალბათ, როგორც იტყვიან, მართლა ათი თავით ყველაზე მაღლა დგას...*

— ნამდვილად ძლიერი ბიჭია. მარცხენითაც თურმე იგებდა, მაგრამ მსაჯებმა იმდენი გაგაჭდეს, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს არგუნეს ოქროს მედალი, თანაც, გაგიკვირდებათ... ლაშამ მეტოქის მწვრთნელს უმსაჯა ეს ფინალი.

● *ლაშა ალბათ სტუდენტია...*

— დიახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი...

● *ქართველი მკლავჭიდელები კიდევ რით გაგვახარებენ წლეულს?*

— ევროპის მოზრდილთა ჩემპიონატისთვის, რომელიც ოქტომბრის ბოლოს გაიმართება. დიდი ხნის შეხვედრების შემდეგ თითო ზარდ ცხადადე კი გაზოვებლივ გეხდამე ამ ჩემპიონატისთვის.

● *წარმატებას გისურვებთ...*

— დიდი მადლობა.

ესაუბრა მიხეილ ტუტუნავა

რეპლიკა

## გაიგოს მსოფლიომ, რომ ვითომ მათხოვრები ვართ?

„ლელო" ადრე იტყობინებოდა, რომ ახალი საფეხბურთო სეზონიდან კვლავ აღორძინებულ სოხუმის „ცხუმი" და მის შენახვაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, სხვადასხვა კომერციული სტრუქტურაც შეიტანდა თავის წვლილს. ეს საკითხი არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ყველაფერი მოწესრიგებულია. სხვაგვარად რით აიხსნება ის, რომ „ცხუმის" პრეზიდენტმა ბოლო დღეებში უცხოეთის პრესას აუწყებს და მსოფლიოს მოუწოდებს დაეხმარონ ამ გუნდს ფინანსურად. თურმე „ცხუმის" საბალუტო ანგარიში ნიუ-იორკშიც კი გახსნილა.

არა, ეჭვის თვალით არ გვინდა შევხედოთ ამ ფაქტს, მაგრამ მაინც საკითხავია, განა მართლა ისე წავხდით და დავეცით, რომ ჩვენი ეროვნული საფეხბურთო კლუბის შესანახად მსოფლიოში უნდა ჩამოვინათხოვროთ სახსრები? იქნებ ვილაცას პოლიტიკური შანტაჟი აქვს ჩაფიქრებული, აქაოდა, ნახეთ, რა წყალწაღებულია საქართველო, როგორ უჭირს და ურაპატრიოტიზმს მაინც არ ეშვებაო. თანაც, არ დაგავიწყდეთ, სოხუმის გუნდზეა ლაპარაკი. ან იქნებ ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ მერე, ვილაცას მსოფლიოში შეგროვილი იმ ფულის „მოტეხვა" აქვს ჩაფიქრებული. რა იცი, ყველაფერი ხდება. ერთი კი ცხადია, ეს უკვე მერამდენედ მოგვეჭრა თავი, ქართული კინოკომედიისა არ იყოს, არა „რაიონული", არამედ „მსოფლიო მასშტაბით".

მიხეილ ტუტუნავა

## ხონელ მოჭადრაკეს, მეტოქემ კი არა, კოეფიციენტმა აჯობა...

კარგა ხანია, საქართველოს მოსწავლეთა პირველობა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გოგონებისა და ჭაბუკების შეჭიბრება აღარ არის. ეს გახლავთ, თუ გნებავთ, „სარკმელი" ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისაკენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი ჭადრაკისაკენ.

ხონელი ზვიად იზორია, რომელსაც ჩვენი ცნობილი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე ამეცადინებს, ავსტრიის ქალაქ მურეკში (სლოვენიის საზღვართან) ევროპის პირველობაზე 14 წლამდე ჭაბუკებს შორის საქართველოს ჩემპიონის სტატუსით მონაწილეობდა. საქართველოს ჩემპიონი კი მაისში გახდა, თანაც დიდი უპირატესობით, ამასთან, საინტერესო, აგრესიული თამაში აჩვენა. დიდი საბრძოლო განწყობილება და კარგი თეორიული მომზადება. ჭაბუკი საგულდაგულოდ ემზადება, სწავლობს დიდოსტატების პარტიებს, განსაკუთრებით კი რობერტ ფიშერის შემოქმედება მოსწონს.

მურეკში, თუმცა გაცილებით უფრო ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, ზვიად იზორია ისეთივე შემართებითა და დამაჯერებლობით თამაშობდა, როგორც ამ თვენახევრის წინათ, თბილისში, დიახ, ლამაზი პარტიებიც ჰქონდა, თამაში გამოუვიდა, თითქოს ვერაფერს დაემდურება, მაგრამ... აი, ცოტაოდენი იღბალიც რომ ჰქონოდა!

რას ვგულისხმობთ?

საქმე ის არის, რომ ***ქართველმა მოჭადრაკემ ევროპის პირველობაზე*** პირველი-მეორე ადგილები გაიყო რუსეთელ ალექსანდრე რიზანცევთან და (აი რატომ ვახსენეთ იღბალი!) კოეფიციენტების მიხედვით მეტოქეს ოდნავ ჩამორჩა.

თუმცა, რა არის აქ გულდასაწყვეტი? ევროპის ვიცე-ჩემპიონობის მოპოვება უკვე დიდი წარმატებაა, უკეთესი შედეგი კი ჩვენს ნიჭიერ ჭაბუკს შემდგომისათვის ვუსურვოთ.

### ქართული სპორტის პრობლემები ქართულ პრესაში

მურთაზ ხურცილავა: „საფეხბურთო სამყაროში პოლიტიკური ძალის ჩარევის აუცილებლობა არ არის... ქართულ ფეხბურთზე პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ არა პარტიებს, არამედ ჩვენ, ვინც აქ ვსაქმიანობთ".

*„სარბიელი" (№125)*

„ახალგაზრდა სპორტსმენთა ჩინებული თაობა მოდის. მათ კი სათანადო დახმარება სჭირდებათ. თუ გვინდა დიდ ოლიმპიადებზეც გამრავლოთ წარმატებები".

*„საქართველოს რესპუბლიკა" (№184).*

„სპორტსმენს, რომელიც ვარჯიშის გარდა ოჯახის შენახვის პრობლემებითაც არის დაკავებული, შედეგს ვერ მოსთხოვ".

*„7 დღე" (84).*

„საქართველოში არ აღმოჩნდა ისეთი ფირმა და ორგანიზაცია, რომელიც სპონსორობას გაუწევდა წყალმოთხილამურეთა ფოთის საერთაშორისო ტურნირს".

*„ახალი თაობა" (№198).*

მერაბ ჟორდანია: „ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ზემოდან არანაირი დირექტივა არ უნდა იყოს. ფედერაციის და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთობა საქმიან და კეთილგანწყობილ კალაპოტში უნდა მოექცეს, რაც ქართულ ფეხბურთს სიკეთეს მოუტანს".

*„დრონი" (№81)*

# ძალიან ნაცნობი თემა ვარიაციებით

*„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ ამას წინათ საქართველოს ნაკრებმა წარმატებით გაიარა სლოვენიაში წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი შერჩევითი ტურნირი, მოხვდა ოთხეულში და კონტინენტის ელიტაში გასვლის უფლების მოსაპოვებლად კიდევ ერთ, ეგრეთ წოდებულ ევროპა-B შერჩევით ტურნირში უნდა ესპარეზა. ეს ტურნირი უკვე გაიმართა სტამბულში, სადაც მიზნის მისაღწევად ჩვენი გუნდი პირველ ოთხეულში გასვლას გეგმავდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ქვეჯგუფში მათი მეტოქე იყო სლოვენიის, ბელარუსის, მალტის, თურქეთის, საფრანგეთის გუნდები და სასურველი კვარტეტის მიღმა — მეცხრე ადგილზე აღმოჩნდნენ.*


ვლადიმერ გოიაშვილი

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების — ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი ისევ და ისევ უსახსრობით ხსნის ნაკრების ჩავარდნას. კვლავ გაიჟღერა კარგად ნაცნობმა ფრაზამ, რომ ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისათვის მომზადების საშუალება რომ გვქონოდა, რა თქმა უნდა, მიზანს მიაღწევდა გუნდი. მით უფრო, რომ შემადგენლობით, სათამაშო აზროვნებითა და შემართებით არავისზე ნაკლები არა ვართ. მზადება, სულ ცოტა, ერთი წელი მაინც უნდა გაგრძელებულიყო თავისი საკონტროლო მატჩებით, გუნდის ერთობლივი ცხოვრებითა და ა.შ.

— აილეთ ელემენტარული რამ, — თქვა პრეზიდენტმა, — ჩვენმა ბიჭებმა საერთოდ დაივიწყეს წვრთნის ისეთი ჩვეულებრივი რამ, რასაც ფიზიკური მომზადების ციკლი ჰქვია, რასაც სპეციალური მომზადება უნდა მოსდევდეს. ყველაფერ ამას თვეები ესაჭიროება, ვიმეორებ, თავისი სულ ცოტა 4-5 საკონტროლო-საწვრთნელი შეხვედრით სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს გუნდებთან, რათა გუნდმა საბოლოოდ სახე მიიღოს. ჩვენ კი ეს ეტაპები, როგორც სლოვენიის, ასევე სტამბულის ტურნირების წინ უქმად გავატარეთ. რაც შეეხება საკონტროლო შეხვედრებს, აქ კომიზმამდე მივიდა საქმე, რადგან ამ შეხვედრებში ჩვენი ნაკრების სპარინგ-პარტნიორები წყალბურთს ჩამოცილებული ვეტერანთა გუნდი იყო, სადაც ქართული წყალბურთის „გადამქრალი" ვარსკვლავები იგივე ვლადიმერ ისელიძე, დავით რურუა, ოთარ იოსელიანი, გია ზუმბულიძე და სხვანი თამაშობდნენ, ანდა, იუნიორთა გუნდი უწევდა პარტნიორობას. საქმე იქამდეც მივიდა, რომ გუნდში ეგრეთწოდებული „ბოძის" დეფიციტის გამო, ორმოც წელს გადაცილებულ ვეტერანს თამაზ კუტივაძეს სთხოვეს მხრებიდან წლები ჩამოებერტყა და დახმარებოდა გუნდს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი უყოყმანოდ დათანხმდა უმცროს კოლეგებს, მაგრამ ეს ხომ ის კუტივაძე აღარ იყო, რაც 10 წლის წინათ.

გუნდს არც ენთუზიაზმი და მონდომება აკლდა, ყველა სერიოზულად მოეკიდა თამაშებს და ნამდვილად საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ მე, როგორც პროფესიონალმა, ხომ კარგად ვიცი, რომ მარტო ამ თვისებებით, ასეთ სერიოზულ ტურნირში შორს ვერ წახვალ...

● ***ლეგიონერების მოხმობა თუ შეძლით?***

— ყველა, ვინც კი რაიმეს წარმოადგენს, ჩავიდა სტამბულში. არ იყო რეზო ჩომახიძე, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და, ახლა ამბობენ, ამ ქვეყნის სახელით ამერიკაში კეთილი ნების თამაშებზე „ანგრევსო" ყველაფერს...

ამ ტურნირმა, რა თქმა უნდა, ლეგიონერთა, განსაკუთრებით ზვიად დავითიანის მხრებზე გადაიარა, მაგრამ არ ჩანდა ერთიანი გუნდი, მოთამაშეთა ურთიერთგაგება, რაც ერთობლივი ვარჯიშის შედეგად მოდის. ამის საშუალება კი, ვიმეორებ, არ იყო.

● ***თქვენი პირადი როლი გუნდის მომზადებაში?***

— კარგად მოგეხსენებათ ფედერაციის ბოლოს არჩევნები რა ვითარებაში წარიმართა. ჩემი კანდიდატურა, გულახდილად რომ ვთქვა, ბევრს არ ეპიტნავებოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ, ამ გაჭირვების ჟამს ნაკრები უსახსრებოდაა, ჩვენი სპორტი კი საკმაოდ ძვირადღირებულია — სხვა გზა არ ჰქონდათ. პრეზიდენტად „ლაგუნა-ვერეს" სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო — აქაოდა, თავის წყალბურთელებს, მოცურავეებს, წყალში მხტომელებს, სინქრონულ მოცურავეებს მოწყალების თვალით შეხედავს და აუზში შეშვების ქირას არ გადაახდევინებსო. სწორი ტაქტიკური სვლა იყო, მეც, როგორც ყოფილმა „მათმა კაცმა" გარკვეული შეღავათები მივიღე. იმავე „დინამოს" გუნდს, თსუ-ს წყალბურთელებს, ავადმყოფ-ლტოლვილებს, რომელთაც თურმე ექიმის რჩევით, გამაჯანსაღებელი ცურვა სჭირდებათ, საფასურის ნახევარს ვახდევინებ, რისი გაგონებაც კი არ უნდა საგადასახადო სამსახურს და, წარმოიდგინეთ, სრული 100 %-ით მბეგრავენ. ამ კვარტალში 42 ათასი ლარი შევიტანეთ რესპუბლიკის ბიუჯეტში. ასეთ თანხას ბევრი მძლავრი კონცერნი არ იხდით. ეს ყველაფერი გაკეთდა აქციონერთა კოლექტივის პირადი ინტერესების ხარჯზე, მაგრამ ყოველგვარ ენთუზიაზმს საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს, 15 მწვრთნელს რვა თვეა ხელფასი არ მიუღია.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო საზოგადოება „დინამოზე", მისი გუნდი ნაკრების ბირთვს წარმოადგენს და დაფინანსებისათვის თავს არავინ იწუხებს. მოსკოვის „დინამოს" 300000 დოლარის ბიუჯეტი აქვს წელიწადში. ასეთ თანხაზე, ჩვენი გუნდი, როგორც იტყვიან, ვერც იოცნებებს.

მერმის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოუწევს გამოსვლა ჩვენს ჭაბუკთა გუნდს, რომელმაც ახლახან რუსეთის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა. ამ წყალბურთელებმაც მზადების ის გზა უნდა გაიარონ, რომელზეც ზემოთ ვთქვი, რასაც აქედანვე უნდა ზრუნვა. მაგრამ, როგორ. სპორტის დეპარტამენტისაგან გამოყოფილი ის 50 ათასი 4 სახეობაზე უკვე ამოწურულია და ერთი თეთრიც არა გვაქვს... ამიტომაც წყალბურთელები უქმად არიან, რომ ყოფილიყო ფული, დარჩენილ ხუთ თვეში ბევრი რამის გაკეთების საშუალება გვექნებოდა სათანადო მომზადებისათვის.

ქვეყნის პრეზიდენტი შეგვპირდა გაისიდან სპორტის ბიუჯეტს ორმაგად გავზრდით, ვნახოთ.

„ლაგუნა-ვერეს" აუზშივე შევხვდი ზვიად დავითულიანს. ეს სახელი კარგადაა ცნობილი წყალბურთის მოყვარულთათვის. იგი ბოლო წლებში წარმატებით გამოდიოდა იუგოსლავიის კლუბებში: „ცრვენა ზვეზდაში", „ბეჩეიში", „ბუდვანსკა რა ვუზაში". ახლა მას ბოლო კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლის მოლოდინში, მშობლიურ ქალაქში ვარჯიშობს.

ზვიადს ვთხოვე სტამბულის ტურნირზე ეთქვა ორი სიტყვა.

— თავი არავის დაუზოგავს, — მითხრა მან, — ყველაფერი გავიღეთ, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო. და ეს არცაა გასაკვირი. შვიდი წელია ხელი არავის გაუნძრევია, ყველაფერი ნულზე დავიდა. ქართული წყალბურთი, ფაქტობრივად, ახლა იწყებს აღორძინებას, რაც ადვილი საქმე არაა. ისიც დიდი მიღწევაა, რომ ევროპის ჩემპიონატის შერჩევით მეორე ტურში ვითამაშეთ. დასანანია, სხვა გუნდები ჩვენზე მეტი არაფრითაა, მაგრამ მომზადების მეტი საშუალება აქვთ. ზამთრის პერიოდში ჩვენი ბიჭები უწყლოდ არიან, ასე არაფერი გამოგვივა, რადგან წლობითაა საჭირო ვარჯიში და ოფლის ღვრა. ჩვენ კი თვენახევარი ვემზადებოდით მხოლოდ. ფაქტიურად უარაფროდ წავედით.

არადა, დასანანია, ქართული წყალბურთის თვითმყოფადობა, რომელიც საზღვარგარეთაც ბევრს ხიბლავდა, ასე ხელის ერთი მოსმით გადავყარეთ წყალში.

მე მაინც მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. აქვე გეტყვით, სტამბულში საერთო მოწონება დაიმსახურა ქართველი არბიტრის ვახტანგ მებუკის მსაჯობამ, რომელსაც ფინალური მატჩის მომსახურება სთხოვეს, და იმის გამო, რომ მას თვითმფრინავზე არ დაგვიანებოდა, გადაწყვიტეს თამაში ერთი საათით ადრე დაეწყოთ. ორივე ფინალისტი ფრიად კმაყოფილი დარჩენილა ჩვენი არბიტრის მსაჯობით.

უშანგ ჯიჯინაძე

***სტამბულის ტურნირში მატჩები ასე დასრულდა: საქართველო-სლოვენია 5:8; საქართველო-ბელარუსი 5:9; საქართველო-თურქეთი 10:10; საქართველო-მალტა 7:6; საქართველო-საფრანგეთი 6-11. მატჩი IX ადგილისათვის: საქართველო-ბელგია 8:7.***



მკითხველი – გაზეთი

# ხორვატებს ქართველები ნახევარი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გაეცნენ

*საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალთა დღეს სენსაციად ხორვატიის ნაკრების თამაში მიმაჩნია. ჩემი აზრით, იგი ფინალური მატჩის ღირსი იყო. სტატიაში ფეხბურთის გულშემატკივრები ამბობენ, რომ ხორვატმა ფეხბურთელებმა ერთხელ თბილისშიც ითამაშეს ჩვენს „დინამოსთან".*

*მინდოდა მეთქვა როდის მოხდა ეს და, საერთოდ, ყველაფერი ამ შეხვედრის შესახებ.*

*ვასიკო ღლიღვაშვილი,*
*თბილისის „ნორჩი დინამოელის" ნახევარმცველი.*

**ხორვატმა** ფეხბურთელებმა მართლაც ითამაშეს თბილისში, მაგრამ ეს იყო არა ხორვატიის ნაკრები, არამედ იუგოსლავიის სახელგანთქმული გუნდი – ბელგრადის „პარტიზანი". ეს კლუბი იმხანად ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში და იუგოსლავიის ფეხბურთის აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა. თბილისში ჩამოსვლამდე „პარტიზანმა" წარმატებით ჩაატარა ტურნე პოლონეთში, მერე საბჭოთა კავშირს ეწვია. პირველი მატჩი მინიმალური ანგარიშით 0-1 წააგო ჩემპიონატის ლიდერთან ცდკა-სთან, მეორე შეხვედრა ლენინგრადში მოიგო ქალაქის ნაკრებთან – 2-1, მესამე მატჩში კი დამარცხდა ქვეყნის ჩემპიონ მოსკოვის „დინამოსთან" – 1-4.

1946 წლის 11 აგვისტოს „პარტიზანი" პირთამდე სავსე თბილისის „დინამოს" სტადიონზე საქართველოს დინამოელებს შეხვდა. მატჩმა უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომელიც ლეგენდარულ ბასკთა გამოსვლას თუ შეედრებოდა. ჩვენმა „დინამომ" იმ სეზონში საუკეთესოდ ჩაატარა გათამაშების პირველი წრე – 11 შეხვედრიდან 10 მოიგო (აქედან ზედიზედ 7 მატჩი) და მხოლოდ ერთი თამაში წააგო მოსკოველ არმიელებთან. მეორე წრე დინამოელთათვის შედარებით მოკრძალებული გამოდგა – 20 ქულას მხოლოდ 13 დაუმატა და საბოლოოდ მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. კარგად იასპარეზეს ქართველმა ფეხბურთელებმა იმ წელს საკავშირო თასის რიგით მე-7 გათამაშებაში. გუნდი ფინალში გავიდა, უგებდა კიდეც მოსკოვის „სპარტაკს" – 2-1, მაგრამ მასპინძლებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი დამატებით დროში ნახევარმცველმა ტიმაკოვმა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს თავით ახლო მანძილიდან გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ჩვენს კარში 2-3. მესამედ წავაგეთ ფინალი, ბროლის თასი კვლავ მოსკოვში დარჩა.

– თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილი 45 ათასი ფეხბურთის მოყვარული საინტერესო შეხვედრის მოლოდინში იყო. პირზე ყველას სტუმართა გუნდის ჯადოქარი მოთამაშეების სახელები ეკერა – ზლატკო ჩაიკოვსკი, სტეპან ბობეკი, რაიკო მიტიჩი, ფრანიო გლაზერი, ფრანიო შოშტარიჩი... აქ ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან მხოლოდ მიტიჩი იყო სერბი, ყველა დანარჩენი კი ხორვატი გახლდათ. გულშემატკივრები განსაკუთრებით მოუთმენლად ელოდნენ სტუმართა სახელგანთქმული ნახევარმცველის, იუგოსლავიის ნაკრების კაპიტნის, 23 წლის ზლატკო ჩაიკოვსკის თამაშს. ეს მომცრო ტანის ნახევარმცველი იმ პერიოდში ერთ-ერთი პოპულარული იყო ევროპაში. სხვათა შორის, მან სტეპან ბობეკთან და რაიკო მიტიჩთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჰელსინკის 1952 წლის XV ოლიმპიური თამაშების ტურნირში, კერძოდ, ტამპერეს სტადიონზე გამართულ იმ დრამატულ ორთაბრძოლაში საბჭოთა ნაკრებთან, რომელიც იუგოსლავიელებმა მოიგეს 3-1. მათი წინა დღის მატჩი დამთავრდა ფრედ 5-5. იმ შეხვედრაში მონაწილეობდა თბილისის დინამოელი, მარცხენა გარემარბი ავთანდილ ჭკუასელიც. იუგოსლავიის ნაკრებმა ოლიმპიურ ტურნირზე ოთხი შეხვედრა მოიგო და ფინალში დამარცხდა უნგრეთის ნაკრებთან 0-2, რის შედეგად ვერცხლის მედლები მოიპოვა.

... ჩვენი „დინამო" ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით საგანგებოდ ემზადებოდა თავისი რიგით მე-7 საერთაშორისო მატჩისათვის, რომელიც ამავე დროს მესამე იყო თბილისში. თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მოულოდნელად ავად გახდა ჩვენი დაცვის ყველაზე გამოცდილი მოთამაშე – 31 წლის არჩილ კიკნაძე. მას ინფექცია შეეყარა და მაღალი სიცხე მისცა. გუნდი საგონებელში ჩავარდა – ვინ უნდა გამოსულიყო დაცვის მარცხენა ფლანგზე? გადაწყდა მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოეყვანათ რომელიმე „4" ნომერი – იური ნირკოვი ცდკა-დან, ივან სტანკეიჩი – მოსკოვის „დინამოდან" ან აგუსტინ გომესი – მოსკოვის „ტორპედოდან". ყველანი ღირსეული ფეხბურთელები იყვნენ და თითქოს პრობლემა აღარ არსებობდა. საქმეში მოულოდნელად ჩვენი გუნდის ვეტერანი გრიგოლ გაგუა ჩაერია: რად გვინდა სხვისი მოთამაშე, დუბლებში ახალგაზრდა მარცხენა ნახევარმცველი იბრაგიმ სარჯველაძე გვყავს ბათუმიდან. მოდით ვათამაშოთ დაცვაში. კარგი ბიჭია – ტექნიკური, საზრიანი, მებრძოლი, ჯიგრიანი. იმ დღეს დინამოელთა დაცვის ხაზში ცნობილი ოსტატების ალკიად (კუკო) ფეხლევანიდისა და უშანგი სალდაძის გვერდით 22 წლის იბრაჰიმ სარჯველაძე გამოჩნდა პირველად. იგი ერთობ გაუბედავად გამორბოდა მინდვრის ცენტრისაკენ პაიჭაძის, იოსელიანის, ბერძენიშვილის, ლოლობერიძის შემდეგ. იუგოსლავიელებს წინ მაღალი ტანის მცველი მიროსლავ ბროზოვიჩი მოუძღოდა. სხვათა შორის, „პარტიზანის" ტრადიციით, გუნდის კაპიტანს ნიშნავენ სხვადასხვა ფეხბურთელს, როგორც წესი თამაშზე გასვლის წინ. იმ დღეს ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობის დებიუტანტმა იბრაჰიმ სარჯველაძემ ღირსეული პარტნიორობა გაუწია გამოცდილ ოსტატებს და საიმედოდ გადაკეტა თავისი ზონა. ამ მატჩის რადიორეპორტაჟები ერთდროულად სამ ენაზე მიმდინარეობდა – ქართულად (მიჰყავდაეროსი მანჯგალაძეს), რუსულად (ვადიმ სინიავსკის) და ხორვატულად (კომენტატორი – იუგოსლავიის ჟურნალ „ფრონტის" რედაქტორი ნ. კადია). წარმომიდგენია რაოდენ ხანგრძლივ უხერხულ პაუზას გააკეთებდა იგი მიკროფონთან, როდესაც დინამოელთა აღიარებულმა პენალისტმა მიხეილ ბერძენიშვილმა 25-ე წუთზე 11-მეტრიანი გაიტანა ბელგრადელთა კარში. საქმე ისაა, რომ თუ საბჭოთა მეკარეებმა, ასე თუ ისე, იცოდნენ ბერძენიშვილის „ოინები", სტუმართა მეკარე, 32 წლის ხორვატი ფრანიო გლაზერი (იგი ამავე დროს „პარტიზანის" მწვრთნელიც გახლდათ) პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი კარის მარჯვენა კუთხეში გადახტა, ბურთი კი მარცხენა კუთხეში შეგორდა. მთელი სტადიონი ხარხარებდა ამ ეფექტურ დარტყმაზე, რომელმაც პირდაპირ გააოგნა ჩვენი სტუმრები. სამი წუთის შემდეგ „პარტიზანმა" გაათანაბრა ანგარიში.



*იუგოსლავიის „პარტიზანი" (ბელგრადი) თბილისის „დინამოს" სტადიონზე ასპარეზობის წინ. მარცხნიდან პირველი – ზლატკო ჩაიკოვსკი. ფოტო ავტორის არქივიდან*

აი, რას იგონებს დინამოელთა მეკარე ***გივი იოსელიანი,*** რომელიც იმხანად 28 წლისა იყო (დღეს იგი 80 წლისაა):

– ჩრდილოეთის კარში ვიდგი. მატჩის წინ მეკარის მოედანი, მუდამ „თავდადებულები" რომ არის, სტადიონის მუშაკებმა სასწრაფოდ „ამოკემსეს". ეტყობა, ახალი ბელტები ვერ იყო კარგად დატკეპნილი და ნიადაგში ჩამჯდარი. ერთ-ერთ მომენტში იუგოსლავიელების ლიდერის ჩაიკოვსკის მიერ დარტყმული დაბალი ბურთი პატარა ბორცვს მოხვდა და მოულოდნელად მიმართულება შეიცვალა. რეაგირება ვერ მოვასწარი, ბურთმა ჩემს აღმართულ ხელებს გადაუარა და კარში აღმოჩნდა.

მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე სტუმართა თავდამსხმელმა რუპნიკმა დინამოელთა კარში მეორე ბურთი გაიტანა, 2-1 „პარტიზანის" სასარგებლოდ. ასე დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა.

ახლა კი სიტყვა 74 წლის ***იბრაჰიმ სარჯველაძეს*** მივცეთ:

– „პარტიზანმა" მარცხნიდან ჩამოაწოდა ბურთი მეკარის მოედანზე. ჩვენმა გოლკიპერმა გივი იოსელიანმა გაჭირვებით მოიგერია იგი, მაგრამ გაუვარდა ხელიდან. ბურთთან ყველაზე ადრე მე და რაიკო მიტიჩი გავჩნდით. ორთაბრძოლაში ორივე დავეცით. ამასობაში იოსელიანი „დაეშვა ჰაერიდან" და... თავდამსხმელის ბუცს დაარტყა სახე – გაუსკდა ზედა ტუჩი და მარცხენა წარბი, წამით გონებაც დაკარგა. ამასობაში ბურთი ნელ-ნელა მიგორავდა ჩვენს კარში. მეკარე საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან – მის ნაცვლად სერგო შუდრა შემოვიდა. ცხადია, ანალოგიურ სიტუაციაში მსაჯი დააჯარიმებდა მეტოქეთა გუნდს, მაგრამ მოსკოველი არბიტრის ნიკოლაი ლატიშევის სასტვენი, რატომღაც, დუმდა.

დარჩენილ დროში დინამოელები პაიჭაძე, ჯეჯელავა, ლოლობერიძე, ბერეჟნოი, პანიუკოვი ბევრს ეცადნენ შეეცვალათ ანგარიში, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ბერძენიშვილის მიერ ხორვატი მეკარის ფრანიო გლაზერის კარში გატანილი მართლაც ისტორიული 11-მეტრიანი ერთადერთი აღმოჩნდა იმ მატჩში. იგი დღესაც არ ავიწყდებათ ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს.

**ოთარ ნოზაძე**

## ვენეიბლსი ყოველთვის სასურველია

**განთქმულ ინგლისელ მწვრთნელ ტერი ვენეიბლსს, რომელიც კარგა ხანია ავსტრალიის ნაკრების ხელმძღვანელად მუშაობს, ეს-ესაა კონტრაქტის ვადა გაუთავდა. იმის მიუხედავად, რომ ვენეიბლსმა ვერ შეძლო ავსტრალიელების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაყვანა (თუმცა სულ ცოტა უკლდა), ამ ქვეყანაში მას ძალიან აფასებენ და სურთ ახალი ხელშეკრულება დაუდონ.**

**ამასობაში ვენეიბლსი სხვადასხვა მხრიდან წინადადებებს იღებს. მისი მიწვევა აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციასაც სურს ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ვნახოთ!**

## მოხსნეს. მუშაობის დაწყებაც კი ვერ მოასწრო

იუპ ჰაინკესს, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების მიუხედავად, მადრიდის „რეალში" რომ არავინ გააჩერებდა, ეს კარგად იყო ცნობილი, რადგან გუნდი ესპანეთის ჩემპიონატში ძალზე სუსტად გამოვიდა.

გარდა ამისა, „რეალის" ახალანდელ პრეზიდენტ ლორენცო სანსთან საქმის დაჭერა ძალიან ძნელია. ადრე მან გაათავისუფლა ხორხე ვალდანო (არგენტინა), არსენიო იგლესიასი, ფაბიო კაპელო (იტალია), ახლა კი იუპ ჰაინკესიც (გერმანია).

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ივნისის შუა რიცხვებში მწვრთნელად დაინიშნა ხოსე ანტონიო კამაჩო, რომელიც ადრე, მთელი 16 წელიწადი თამაშობდა „რეალში".

სულ მოკლე ხანში გამოირკვა, რომ კამაჩო კლუბის პრეზიდენტს ვერ შეეწყობოდა. როგორც კი მოითხოვა კამაჩომ ფიზიკური მომზადების მწვრთნელად თავისი კანდიდატის დანიშვნა, იმ წუთშივე თვით გაათავისუფლეს (9 ივლისს), ისე რომ, მუშაობის დაწყებაც კი ვერ მოასწრო. ამასობაში სეზონის დაწყებამდე ბევრი აღარაფერ რჩება.

მადრიდში მოსალაპარაკებლად მიიწვიეს ორი ცნობილი მწვრთნელი, იტალიელი ნევიო სკალა და ჰოლანდიელი გუუს ჰიდინკი. მოლაპარაკება სკალასთან უშედეგოდ დამთავრდა, და იგი იმავე დღეს სამშობლოში დაბრუნდა. ჰიდინკი კი დათანხმდა შემოთავაზებულ პირობებზე და მოაწერა ხელი ორწლიან კონტრაქტზე 2000 წლამდე. გაძლებს იგი ამდენ ხანს „რეალში"? ძნელი სათქმელია. საქმე ის არის, რომ თავისი პრეზიდენტობის სამი წლის განმავლობაში ლორენც-სანსმა უკვე ხუთი მწვრთნელი გაათავისუფლა.

## «ნაკრების კადრები გავფლანგეთ»

**როგორც მოსკოვის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გიორგი იარცევი მიიჩნევს, ნაკრების კადრები უაზროდ გაიფლანგა.**

**— ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები პრაქტიკულად სრულიად უმნიშვნელო უცხოურ კლუბებში გადავიდნენ, ჩვენ კი გვიხაროდა, რომ ისინი იტალიასა და ესპანეთში თამაშობდნენ, ამჟამად დიდი-დიდი ევროპული კლასის სულ 2-3 ვარსკვლავი გვყავს. კანჩელსკისს გამოვყოფდი, კარგად თამაშობენ მოსტოვოი და კარპინი, ცალკეულ მომენტებში გაიბრწყინეს შალიმოვმა, კირიაკოვმა, იურანმა, კულკოვმა. ის ფეხბურთელები კი ვისაც შეეძლო შედეგი მოეტანა, თამაში გაელამაზებინა, ნაკრებში საერთოდ არ მიიწვიეს.**

**როგორც იარცევი ფიქრობს, ნაკრების ხელმძღვანელობას საზღვარგარეთული ლეგიონერების იმედი კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ თვით რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელებისა.**

## ლობანოვსკი: რუსული კლუბები ჩვენზე მდიდრებია

როგორც უკრაინის ნაკრების კონსულტანტმა და კიევის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ განაცხადა, ახლა რუსულ ფეხბურთში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე უკრაინულში.

— „სპარტაკი" მდიდარი კლუბია (წლიური ბიუჯეტი — 15 მილიონი დოლარი), ძალიან კარგი შემადგენლობით. სოლიდური ბიუჯეტი აქვთ ვოლგოგრადის „როტორს", ვლადიკავკაზის „ალანიას", მოსკოვის „დინამოს", მოსკოვის „ტორპედოს" ყალმუხეთის პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს ფეხბურთისადმი ინტერესი თუ არ შეუნელდება, მალე ამ კლუბების რიცხვს ელისტის „ურალანიც" შეუერთდება.

— რაც შეგვეხება ჩვენ, უკრაინელებს, აქ უარესი მდგომარეობაა. ერთადერთი კლუბი, რომელსაც ფინანსები წესრიგში აქვს, კიევის „დინამოა". სხვებს არც კი შეუძლიათ მას რომ შეედარონ.

## ბრემეს გამოსათხოვარი მატჩი

**37 წლის ანდრეას ბრემემ სპორტული კარიერის დამთავრება გადაწყვიტა. ფეხბურთელს, რომლის გოლმა 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გერმანელებს ოქროს მედლები მოუტანა, სულ ნაკრებში 86 მატჩი ჩაატარა.**

**მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე ბრემეს გამოსათხოვარი მატჩისათვის დრო ვერ გამოინახა, მაგრამ ახლა გერმანიის ფეხბურთელთა კავშირი, ბოლოს და ბოლოს, ასეთი შეხვედრის დანიშვნას აპირებს.**

## იძენენ და იძენენ კლუბებს

ამერიკულ ფირმა იმკ-ს და ინგლისურ ენიკ-ს ერთი საერთო ინტერესი აქვთ. ფული მათ არ აკლიათ და აი რაში ხარჯავენ: იძენენ და იძენენ სხვადასხვა ევროპულ კლუბებს. მათი საკუთრებაა უკვე იტალიური „ვიჩენცა", ჩეხური „სლავია" (პრაღა), ათენის აეკ-ი. რაც შეეხება „გლაზგო რეინჯერსს", მისი აქციების 25,1 პროცენტი სწორედ ამ ამერიკულ და ინგლისურ ფირმებს ეკუთვნით.

ახლა ფირმებმა გადაწყვიტეს გააფართოვონ თავიანთი საქმიანობა. ამჟამად ისინი უკვე უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონ ბუდაპეშტის „ფერენცვაროშის" ხელში ჩაგდებას ცდილობენ, რომელსაც, თავიანთი ჩვეულების შესაბამისად, არც მეტი, არც ნაკლები, აშენებას ჰპირდებიან.

## სტოიჩკოვი — იაპონიაში

**ხრისტო სტოიჩკოვი იაპონურ „კასივა რეისოლში" ჩაირიცხა და პირველი მატჩებიც ჩაატარა. „მინდა ამ გუნდში მთელი სულითა და გულით ვითამაშო". განაცხადა 32 წლის თავდამსხმელმა. როგორც იაპონური პრესა იუწყება, კონტრაქტი ძალაშია 1999 წლის 1 იანვრიდან. იაპონელმა მენეჯერმა აკირა ნისინომ განაცხადა, რომ სტოიჩკოვის საბრძოლო მზადყოფნა ძალიან კარგია და იგი გუნდს ძალიან უნდა დაეხმაროს.**

**გავიხსენოთ, რომ 1994 წელს სტოიჩკოვი ესპანურ „ბარსელონას" შემადგენლობაში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, იმავე წელს მსოფლიო ჩემპიონატში 6 გოლი გაიტანა და დიდად დაეხმარა ბულგარეთის ნაკრებს მეოთხე ადგილზე გასასვლელად.**

# ჟაკე – ეროვნული ტექნიკური დირექტორი

56 წლის ემე ჟაკე ეროვნულ ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა ჟერარ ულიეს ნაცვლად. ეს თანამდებობა კი ქვეყნის ყველა ეროვნული ნაკრების საერთო ხელმძღვანელობას, კოორდინატორის როლის შესრულებას ნიშნავს.

ჟერარ ულიე „ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი გახდა, ნაკრების მთავარ მწვრნელობას კი 57 წლის როჟე ლემერს უქადიან, რომელიც აქამდე ემე ჟაკეს თანაშემწე იყო.

# ხალისი სამშობლომ დაუბრუნა

რობერტ პროსინეჩკი შორეული, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ნამდვილი ვარსკვლავი იყო. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. რომელ ესპანურ კლუბში აღარ თამაშობდა ხორვატი ფეხბურთელი, გნებავთ, „რეალსა" და „ბარსელონაში", მაგრამ ბოლოს „სევილიამდე" დაქვეითდა და პირენეებზე უკვე ანგარიშგასაწევ ფეხბურელად აღარ ითვლებოდა. ბოლოს მან მშობლიურ „კროაციაში" (ყოფილი ზაგრების „დინამო") დაიწყო თამაში და სამშობლომ 29 წლის ნახევარმცველს ხალისი დაუბრუნა. ერთი სიტყვით, თითქოს „ჩამოწერილი" მოთამაშე მიროსლავ ბლაჟევიჩმა ნაკრებში დააბრუნა, ის კი, როგორი შეფასება მიიღო პროსინეჩკიმ საფრანგეთში, ყველასათვის კარგად არის ცნობილი.

პროსინეჩკის კონტრაქტი „კროაციასთან" ოთხწლიანია. ახლა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი კვლავ გაიზარდა, ბევრი მიწვევაც მოსდის, მაგრამ ვეტერანი არსად წასვლას უკვე აღარ აპირებს.

# კლემენტეს დატოვება გადაწყვიტეს

როგორც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილარმა გამოაცხადა, გადაწყდა არ გაუქმდეს კონტრაქტი ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ხავიერ კლემენტესთან, რომელიც 2000 წლამდე გრძელდება. ამრიგად კლემენტე ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის მოამზადებს.

მთავარი არგუმენტი, რომლითაც ფედერაციამ ისარგებლა, კლემენტეს საერთო წარმატებებია. იგი ნაკრებს უკვე 6 წელია ხელმძღვანელობს. ამ ხნის მანძილზე ნაკრებმა 61 მატჩი ჩაატარა (43 ოფიციალური და 18 ამხანაგური), აქედან მოიგო 37 (28 ოფიციალური და 9 ამხანაგური), 19 ფრედ დაასრულა (12 ოფიციალური და 7 ამხანაგური), ხოლო 5 წააგო (3 ოფიციალური და 2 ამხანაგური). ბურთების სხვაობაა 124-42.

ეს ყველაფერი კარგი, წერს მადრიდის სპორტული გაზეთი „მარკა", მაგრამ ესპანელებმა ხომ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში 24 მონაწილეს შორის მერვე ადგილი დაიკავეს, ევროპის 1996 წლის ჩემპიონატში 16 მონაწილეს შორის — მეშვიდე, ახლა კი მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის 32 მონაწილეს შორის მხოლოდ მეჩვიდმეტე?!

# ჩემპიონატი ამერიკელის თვალით

***ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა მაიკლ ლუისმა საინტერესო, თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში საკმაოდ სადავო შეფასება მისცა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე თითოეულ ნაკრებს.***

**აშშ.** რასაც აპირებდნენ, ამერიკელებმა ყველაფერი პირიქით გააკეთეს. წააგეს სამივე მატჩი და შემდეგ მთელი გზა სამშობლოში დაბრუნებისას ჩივილს მოუნდნენ.

**იაპონია.** ნაკრები მსოფლიო ჩემპიონტაზე პირველად მონაწილეობდა. არც ისე უსიამოვნო წილისყრა ჰქონდა. ძალიან ბევრი რამის გაკეთება დასჭირდება, რათა მომავალი მსოფლიო პირველობის ღირსეული მასპინძლობისთვის.

**შოტლანდია.** უკვე რვაჯერ შეეცადნენ და მსოფლიო პირველობის საწყის რაუნდს ვერ გასცდნენ. მათ უნდა შურდეთ იმ არცთუ ისე ძლიერი ნაკრებებისა, რომლებმაც ეს შეძლეს: კოსტა-რიკამ 1990 წელს, აშშ-ს ნაკრებმა 1994 წელს, მექსიკელებმა 1998 წელს.

**ესპანეთი.** ეტყობა, ეს ტურნირის ყველაზე დიდი იმედის გაცრუება იყო. კლემენტემ ყველაფერში დაადანაშაულა „გიჟი" ჟურნალისტები, მაგრამ, როცა ასეთი ნიჭიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდით პირველი რაუნდიც კი ვერ დასძლია, სჯობდა საკუთარი თავისთვისაც შეეხედა.

**კოლუმბია.** ამ ჩემპიონატზე ყველაზე უსახელო სამხრეთამერიკული გუნდი იყო. რამდენი ნიჭიერი მოთამაშე ჰყავს, შედეგი კი ნოლის ტოლია.



**ბულგარეთი.** როგორც ყოველთვის, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერაფერი აჩვენა. გამონაკლისი მხოლოდ ერთხელ იყო, აშშ-ში 1994 წელს.

**მაროკო.** ნორვეგიელებზე უკეთ თამაშობდნენ და სწორედ მათ უფრო ეკუთვნოდათ იტალიელებთან მერვედფინალში შეხვედრა.

**კამერუნი.** ამ გუნდს შეჯიბრება მესამე მატჩში არბიტრებმა დაატოვებინეს. ისე კი, აფრიკელები გაცილებით უკეთესი შედეგის ღირსი იყვნენ.

**ნორვეგია.** თავისდა სამწუხაროდ, ჩრდილოელებმა დაამტკიცეს, რომ უკეთესი ხვედრის ღირსი იყვნენ. მაგრამ, როცა 8-1-1 სისტემას იყენებ, იმედსაც იტოვებ.

**ბელგია.** რატომღაც ასე ხდება — როცა ამ ქვეყანაზე ლაპარაკობენ, გულთბილი სიტყვების გამონახვა უჭირთ.

**იუგოსლავია.** სტოიკოვიჩის, სავიჩევიჩისა და მიატოვიჩისაგან უკეთეს შედეგებს მოელოდნენ, მათ კი ვერა და ვერ მოახერხეს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება.

**ავსტრია.** როგორი სუსტები უნდა ყოფილიყვნენ დანარჩენი ევროპული გუნდები, როცა ავსტრიამ თავის შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

**რუმინეთი.** ასაკოვანმა გუნდმა დაახლოებით ისეთივე ადგილი დაიკავა, როგორსაც ელოდა.

**საუდის არაბეთი.** ხომ არ გეჩვენებათ, რომ კარლოს ალბერტ-პარეირამ თავისი მუშაობისათვის ძალზე დიდი თანხა მიიღო? სამი მილიონი დოლარი ორ მატჩში, ე.ი. მილიონნახევარი დოლარი თითოეულ წაგებულ მატჩში. ნებისმიერ მწვრთნელს შეშურდებოდა.

**სამხრეთ კორეა.** კორეის ფედერაცია ბუმ-კუნ ჩას საკმაოდ უცნაურად მოექცა. შეიძლებოდა ასე ლაპარაკი კორეის ყველა დროის უპირველეს ფეხბურთელზე? შემდეგ კი ფედერაციამ გადაწყვეტილება მიიღო ბუმ-კუნ ჩასათვის 2002 წლის ჩემპიონატის ფინალამდე მუშაობის საშუალება მიეცა.

**ტუნისი.** კასპერჩაკისაგან ძალიან ბევრს, პრაქტიკულად შეუსრულებელს ელოდნენ.

**იამაიკა.** მხოლოდ ერთი თამაში მოიგო, თუნდაც ყველაზე უიმედო, იაპონელებთან.

**ირანი.** ამ გუნდმაც მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო — ამერიკელებთან.

**პარაგვაი.** მტკიცე დაცვამ და შესანიშნავმა მეკარემ ამ საშუალო გუნდს მეორე წრეში გასვლის საშუალება მისცა.

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.** დებიუტისათვის ცუდი შედეგი როდია. იმაზე მეტიც კი, რაც მოსალოდნელი იყო.

**მექსიკა.** ლუის ერნანდესი თავისი გატანილი ბურთებით ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი გახდა. ისტორიაში პირველად მექსიკელები ევროპაში მეორე წრეში გავიდნენ და საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

**ნიგერია.** პირველი რაუნდის საუკეთესო გუნდმა თვით ჩააგდო საკუთარი თავი მძიმე მდგომარეობაში დანიელებთან მატჩში.

**ჩილე.** სალასმა და სამორანომ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. პირველმა ოთხი გოლი გაიტანა, მეორე ბევრს მუშაობდა და ეხმარებოდა საკუთარ გუნდს.

**დანია.** არც ისე კარგად ჩატარებული პირველი რაუნდის შემდეგ დანიელებმა ირწმუნეს საკუთარი ძალებისა, დაამარცხეს ნიგერიელები, რომლებიც ფავორიტებად ითვლებოდნენ და კინაღამ არ მოუგეს მსოფლიო ჩემპიონებს.

**ინგლისი.** „სპაის ბოის" რომ ასეთი სულელური რამ არ ჩაედინა, ინგლისელების საქმე სულ სხვანაირად წარიმართებოდა.

**არგენტინა.** ორტეგას, რომელიც დიდი მარადონას ნომრით გამოდიოდა, ჰოლანდიელ მეკარისათვის რომ არ „ერქინა", მსოფლიო ჩემპიონატის ფინიში შეიძლება სულ სხვანაირი ყოფილიყო.

**გერმანია.** კრისტიან ვერნსმა სრულიად გაუმართლებლად დაარღვია წესი ხორვატებთან მატჩში, რაც საბოლოოდ გერმანელებს მეოთხედფინალის ფასად დაუჯდათ.

**ხორვატია.** მესამე ადგილი, ამასთან შუკერი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა. ნაკრების თამაში უდავოდ მოსაწონი იყო.

**ჰოლანდია.** ეს ნაკრები საუკეთესო იყო ამ ქვეყნის ისტორიაში. ფინალამდე ერთი ნაბიჯილა აკლდა, მაგრამ არ გაუმართლა.

**საფრანგეთი.** მადლობა ზიდანს, მადლობა ჟაკეს, მადლობა გუნდს, რომელმაც მძიმე სამუშაო შეასრულა, მადლობა მთელ ქვეყანას ასეთი დაუვიწყარი ტურნირისათვის.

რაც შეეხება მსოფლიოს ექსჩემპიონებს, ბრაზილიელებს, მათ შესახებ კომენტატორს არაფერი უთქვამს.

FRANCE 98 INFORMATIONS ექო

# დენილსონი — ამომავალი ვარსკვლავი, რომელიც 23 მილიონი ღირს

***ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების უწინდელმა მწვრთნელმა, ახლა რომ სან-პაულუს ამავე სახელწოდების გუნდს უდგას სათავეში, ცნობილმა ჟურნალისტმა ტელე სანტანამ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე იწინასწარმეტყველა, რომ მონდიალზე ბევრ ნიჭიერ მოთამაშეს აღმოაჩენს. სანტანა ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდა თავისი გუნდის 20 წლის შემტევ ნახევარმცველ დენილსონზე. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ნაკრების ამჟამინდელმა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ ამ ფეხბურთელს არ მისცა შანსი ბოლომდე გამოევლინა თავისი ნიჭი — უმეტესწილად იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. გარდა ამისა, ზაგალომ არ წაიყვანა საფრანგეთში სანტანას მეორე აღზრდილი, 25 წლის ნახევარმცველი ჟუნინიო.***



„რას იზამ, ყველა მწვრთნელს თავისი მოსაზრებები აქვს ამა თუ იმ ფეხბურთელზე, ზაგალოს ნება იყო ჩართავდა თუ არა დენილსონს შემადგენლობაში... მე კი ჯერ კიდევ 3-4 წლის წინათ, როცა მსოფლიო რონალდოსა და ჟუნინიოზე ლაპარაკობდა, ვიწინასწარმეტყველე, რომ მალე გამოჩნდება არანაკლები სიძლიერის ვარსკვლავი — დენილსონი. მან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იგი დიდ სიჩქარეს ანვითარებს და იმავდროულად ჩინებულად იმორჩილებს ბურთს. როცა ეს ახალგაზრდა ცრუ მოძრაობებს ასრულებს, იგი წამითაც არ უშვებს მხედველობიდან პარტნიორთა გადაადგილებას.

პირველ წლებში დენილსონი ვერ გამოირჩეოდა ფიზიკური კონდიციებით და საგრძნობლად მოისუსტებდა ტექნიკაშიც. ამის მიუხედავად იგი ერთი თავით მაღლა იდგა თანატოლ ჭაბუკებზე და, თქვენ წარმოიდგინეთ 4-5 წლით უფროსებზეც კი. მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დენილსონის თვითმყოფადი ტალანტი მოკლებულია ეგოიზმის გრძნობას, რომლითაც გამოირჩევიან მისი ასაკის რჩეული ფეხბურთელები. გარდა ამისა, უთუოდ აღსანიშნავია ამომავალი ვარსკვლავის კიდევ ერთი საყურადღებო თვისება — იგი მინდვრის მცირე მონაკვეთზეც კი ელვისებურ გადაწყვეტილებებს იღებს. ამასთან, ბურთი თითქოს მიბმულია მის მარცხენა ფეხზე და ამით მიუწვდომელია მეტოქისათვის.

დენილსონის ნიჭი კარგად წარმოჩინდა შარშან პარიზში. „ოთხთა ტურნირზე" „სკუადრა აძურას" წინააღმდეგ მატჩში — იტალიელი მცველები ამაოდ ცდილობდნენ ბურთი აერთიმიათ მისთვის. ფეხბურთელის ყოველი გარღვევა სახიფათო დარტყმებით სრულდებოდა, ამასთანავე თუ ბრაზილიელი შენიშნავდა, რომ მისი პარტნიორები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, შესაშური სიზუსტის გადაცემებს აკეთებდა, პირველად მარიო ზაგალოს სურდა დენილსონი შეეწყვილებინა რონალდოს: „დენილსონი სწორედ ის ვარსკავლავია, რომელიც რონალდოსთან ერთად გადაწყვეტს საიერიშო პრობლემებს. ამ ორ ბრაზილიელ ვუნდერკინდს ხშირად ადარებენ ერთმანეთს, რაც, ჩემი აზრით, ყოვლად დაუშვებელია — წლოვანებით უფროსი რონალდო ზედგამოჭრილი თავდამსხმელია, მასზე ერთი წლით უმცროსი დენილსონი კი წინწაწეული ნახევარმცველის ფუნქციებს უფრო ასრულებს... დენილსონი გახლავთ გამბედაობისა და მდიდარი იმპროვიზაციებისაგან დამზადებული ჩინებული კოქტეილი."

აი, რას გვიამბობს ტელე სანტანა თავის აღსაზრდელზე: „დენილსონი დაიბადა სან-პაულუს ერთ-ერთ უღარიბეს უბანში, სწორედ იქ, საიდანაც ან ფეხბურთელები გამოდიან, ან დამნაშავენი. ჭაბუკს აშკარად გაუმართლა. იგი ბრწყინვალედ თამაშობდა და საკმაოდ ცნობილ გუნდში მოხვდა. „სან-პაულუს" გუნდის ხელმძღვანელობამ მის მრავალრიცხოვან ოჯახს სახლი უყიდა, მამამისი სამსახურში მოაწყო, ხოლო თავად დენილსონს ანგარიში გაუხსნა ბანკში... ერთი სიტყვით, ამომავალ ვარსკვლავს ყველა პირობა შევუქმენით, რომ მას მხოლოდ ფეხბურთზე ეფიქრა და მანაც მოკლე ხანში შესაშური ფიზიკური კონდიციები შეიქმნა: სიმაღლე 178 სანტიმეტრი, წონა – 82 კილოგრამი."

პირველად, საყოველთაო ყურადღება დენილსონმა, თურმე, 1995 წელს კატარში გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე მიიქცია.

იმთავითვე „სან-პაულუს" გუნდის ხელმძღვანელობას სერიოზული წინადადებებით მიმართეს „ლაციოს, „რომას", „ბარსელონას", „რეალის", „აიაქსის", „ეინდჰოვენის" წარმომადგენლებმა. ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა ყოველ მათგანს ასეთი პასუხი გასცა: „დენილსონი 20 მილიონი დოლარი ღირს და გაიყიდება მხოლოდ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ".

და, აი, მონდიალიდან ჩამოსვლისთანავე დენილსონმა პირველ სარფიან კონტრაქტს მოაწერა ხელი: ამიერიდან მისი მეპატრონეა ესპანური „ბეტისი", რომელმაც დიდი თანხა – 23 მილიონი დოლარი გადაიხადა.

# მალდინის ძოფი შეცვლის

და აი, როგორც იქნა აღსრულდა, „სკუადრა აძურას" მილიონობით გულშემატკივარმა შვებით ამოისუნთქა – იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეყნის ნაკრების უსუსური თამაშის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი მწვრთნელი ***ჩეზარე მალდინი.*** უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მისი შემცვლელი იქნება ნაკრების ყოფილი მეკარე და კაპიტანი ***დინო ძოფი.***

# როქი: გაცვალეთ მეკარეები

მონდიალზე წარუმატებლად ითამაშა გერმანიის ნაკრების მეკარემ ანდრეას კეპკემ, რომელიც მარსელის „ოლიმპიკში" თამაშობს. აი, რუმინელთა ნაკრებისა და ესპანეთის „სალამანკას" კარის დარაჯის ბოგდან სტელიას გარჯამ კი საფრანგეთში საყოველთაო მოწონება ჰპოვა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მარსელელებმა ესპანური გუნდის მესვეურებს შესთავაზეს – მეკარეები გავცვალოთ, თანაც 5 მილიონ მარკას დაგიმატებთო. გარიგება ამ დღეებში გაფორმდება.



# ჩხირი კედელს – ფოგთსმა ეფენბერგს უხმო

გერმანიაში ახლა ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ასე ეჯავრებათ. დიახ, მიგვიხვდით, ალბათ, ლაპარაკია ეროვნული ნაკრების თავკაცზე, 51 წლის ბერტი ფოგთსზე. მონდიალზე გუნდის წარუმატებლად გამოსვლის გამო, გულშემატკივრები მის გადადგომას ითხოვენ. მიუხედავად ამისა, შტუტგარტში გამართულ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ყრილობაზე გადაწყდა, რომ ფოგთსს კვლავ გაუგრძელონ კონტრაქტი.

ჟურნალისტებთან საუბარში ფოგთსმა განაცხადა: „დღესდღეობით მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მიუხედავად ამისა, მწამს, რომ სწორი გზით მივდივართ და კავშირის თავკაცობაც დახმარებას დამპირდა". ფოგთსმა ამ სიტყვებს ისიც დაამატა, რომ გადაწყვეტილი აქვს ნაკრებიდან მოკვეთილი შტეფან ეფენბერგის დაბრუნება.

# ადვოკატ იმედა ხუციშვილის გამოსვლის ტექსტის მთავარი ნაწილი ვაკის სასამართლოში „დინამო"– „მრეტების" ფინანსურ დავასთან დაკავშირებით

იბეჭდება ამ ნაწილის სრული ტექსტი. ავტორის სტილი დაცულია

**პატივცემულო მოსამართლენო!**

დავა, რომელიც მეორე წელია მიმდინარეობს და საზოგადოებისთვის „დინამო" – „მრეტების" კონფლიქტით – „სკანდალი №1" სახელწოდებითაა ცნობილი, იმდენად მასშტაბურია მნიშვნელობით და შედეგებით, რომ თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დავის მოგვარებაში, აგრეთვე ქართული ფეხბურთის და საერთოდ ეროვნული სპორტის შემდგომი განვითარებისათვის. სფფ-ს (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის) თან.ამონაწილეობით „დაბადებული" 1992 წლის 11 ივლისის მრავალმხრივი კონტრაქტის და სფფ-ს 1997 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილების ფესვები, საფეხბურთო მეურნეობაში სრული განუკითხაობის ნოყიერი ნიადაგით საზრდოობს.

ამდენად, არის არსებითად მნიშვნელოვანი, აუცილებლად გასათვალისწინებელი ზოგიერთი გარემოება და საკითხი, რომლებიც თქვენს ყურადღებას მოითხოვს და რომლებსაც გვერდს ვერ აუვლით სამართლიანი გადაწყვეტილების დადგენისას.

ამ გარემოებათა რიგი ასეთია:

სპორტსახკომთან არსებული მინი-ფეხბურთის კოოპერატიული კლუბი „მრეტები" შეიქმნა საქართველოს სსრ სპორტსახკომის შუამდგომლობით და თბილისის საქალაქო საბჭოს რეკომენდაციით, რომელიც რეგისტრირებულია 03.02.88 წლის №3 – 19.102 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის რაიაღმასკომის მიერ. ვაკის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში არსებული „მრეტების" შესახებ მასალები – საქმე №7 (84 ფურცლად) სასამართლო პროცესზეა წარმოდგენილი. აქ წარმოდგენილია 21.12.1988 წლის დოკუმენტური რევიზიის აქტი (ს.ფ. 8...3), სადაც რიგ საკითხებთან ერთად არის „მრეტების" წევრთა შემადგენლობის (სფ7) ჩამონათვალი. საქმის მასალებშია ორჯონიკიძის რაიფინგანის საგადასახადო ინსპექციის მიერ კოოპერატივ „მრეტებში" ჩატარებული წლიური საფინანსო სამეურნეო საქმიანობისა და ბანკიდან მიღებული სესხების ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმების 12.01.1989 წ. აქტი (სფსს...16). რიგ საკითხებთან ერთად აღნიშნულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და ხარჯთა ნუსხა, დაგეგმარებითი შემოსავლების და გასავლის, წევრთა, მოწვეულ სპეციალისტთა, ფეხბურთელთა, ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელთა და ა.შ. შრომის ანაზღაურების ჩვენებით ჩამონათვალი. საქმის მასალებშია „მრეტების" პრეზიდენტის თანაშემწის გრიგოლ დავიდოვის თავმჯდომარეობითა და ბუღალტერ ნ. კინკრიაშვილის კოოპერატივ „მრეტების" დეკლარაცია (სფ 31). 1989 წლის შემოსავლების, შრომითი რესურსების გადასახადის გაანგარიშება და შრომის ანაზღაურებაზე, სახსრების მატებაზე გაანგარიშების შესახებ. დავიდოვისა და კინკრიაშვილის მიერვეა წარმოდგენილი (სფ 43) კოოპერატივ „მრეტების" 1990 წლის 9 თვის დეკლარაციაც. ხოლო მთლიანი 1990 წლის დეკლარაცია (სფ47) და 1990 წლის IV კვარტალში შრომის ანაზღაურებაზე მისამართავი სახსრების მატებაზე გადასახადის გაანგარიშების შესახებ კოოპერატივის თავმჯდომარის ვაჟა ჩხაიძის მიერაა წარმოდგენილი.

საქმის მასალებში 55... 58 ფურცლად წარმოდგენილია ქ. თბილისის ვაკის რ-ნის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსის სახელზე ვაჟა ჩხაიძისა და ნუგზარ კინკრიაშვილის შეტანილ განცხადებებში (სფ 60; 62, 63) აღნიშნავენ, რომ „მრეტებს" 1991 წლის 9 თვის განმავლობაში შემოსავალი არ ჰქონია, რის გამოც შესაბამისი თვეების დეკლარაციას ვერ წარადგენენ.

1992 წლის 20 იანვრის წერილით (სფ 68) ვ. ჩხაიძე საგადასახადო ინსპექციას წარუდგენს 1991 წლის დეკლარაციასთან დაკავშირებულ მასალებს...

ვაკის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში დღემდე ფკ მრეტებთან დაკავშირებული საქმე №7 სულ 84 (ოთხმოცდაოთხი) ფურცლისაგან შედგება და როგორც საქმის მასალებიდან ჩანს (რომლის ნაწილიც ჩემს გამოსვლაში ზოგადად იქნა დასახელებული, რომლის ქსეროასლსაც დანართის სახით წარმოგიდგენთ) კოოპერატივ ფკ მრეტების შექმნიდან – 1988 წლის 2 თებერვლიდან დღემდე ფუნქციონირებისა და აქედან გამომდინარე კანონით გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად – საგადასახადო ინსპექციასთან ურთიერთობა შეწყვეტილია 1993 წლის 30 მარტს, ე.ი. საგადასახადო ინსპექციასთან შრომითი კოოპერატივ ფკ „მრეტების" საქმიანობა ცნობილია და აღიარებულია 1993 წლის 30 მარტამდე, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ „მრეტების" – როგორც იურიდიული პირის, საგადასახადო კანონმდებლობისა და სხვა აქტის შესაბამისად, მართლზომიერი საქმიანობა 1988 წლის 3 თებერვლიდან 1993 წლის 30 მარტამდე განისაზღვრება.

საყურადღებოა, რომ საქმე №7-ის მიხედვით 1990 წლის შემდეგ ფკ „მრეტების" პრეზიდენტის ვ. ჩხაიძის, ბუღალტერის ნ. კინკრიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ **მრეტებს შემოსავალი არ ჰქონია** და უკანასკნელი აქტი, რომელიც საგადასახადო ინსპექციასთან საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს 1991 წლის №000256 ოქმია – საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ (სფ70;71). ჩხაიძისა და კინკრიაშვილის მიერ ჯარიმის სახით გადახდილ იქნა 100-100 მანეთი (სფ 72,73,74,75).

ამრიგად, ფიქსირებულია და გატარებულია კანონით გათვალისწინებული მოქმედებები, რაც კი შრომით კოოპერატივ ფ.კ. „მრეტების" საბანკო ანგარიშზე მოხვედრილ ანგარიშებს ეხება. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა საქმეში 77-ე ფურცლად წარმოდგენილი საგადასახადო ინსპექციის რეზოლუციით კოოპერატივ ფკ მრეტების წერილი, რომელიც საგადასახადო ინსპექციის უფროსის სახელზეა და თხოვნაა: საქართველოს მთავრობის 1992 წლის 26.08 №606 გ. განკარგულების გათვალისწინებით, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრი ფკ „მრეტები" გაანთავისუფლონ სპორტული საქმიანობიდან მიღებული მოგების გადასახადიდან 1992 წელს. იმავე – **1993 წლის 30 მარტის** წერილზე საყურადღებოა საგადასახადო **ინსპექციის უფროსის რეზოლუცია,** სადაც იგი გ. ბარბაქაძეს ავალებს პასუხის გაცემას და აძლევს მითითებას **„დანარჩენი გადასახადები გადახდილი აქვთ".**

ვაკის რ-ნის საგადასახადო ინსპექციაში ფკ მრეტების შესახებ არსებულ მასალებში არსად არ არის მოხსენებული (არც ერთ ჩამონათვალში) ფეხბურთელი გ. ქინქლაძე, ე.ი. არსებული დოკუმენტაციის მიხედვით „მრეტებსა" და ფეხბურთელ გ. ქინქლაძეს შორის არანაირი ურთიერთობა არ დასტურდება, მით უფრო – არ დასტურდება სადავო 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტში ხსენებული თითქოს ფეხბურთელ ქინქლაძეს და „მრეტებს" შორის არსებობდა 05.12.90 წ. №კ-მგ კონტრაქტი, აგრეთვე კონტრაქტიდან გამომდინარე საფინანსო ოპერაციები.

1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტის § 1.1-ის მიხედვით: „დინამო" **მრეტებს გადარიცხვის წესით, გადაუხდის 1000 000 (ერთ მილიონ) მანეთს.**

1.2. მრეტებსა და ფეხბურთელს შორის გაფორმებული კონტრაქტი №კ-მგ59. 05.12.90 ჩაითვლება გაუქმებულად და დინამო და ფეხბურთელი უფლებამოსილი იქნებიან ურთიერთშორის გააფორმონ კონტრაქტი, **მხოლოდ მას შემდეგ, რაც** § 1.1-ით გათვალისწინებული თანხა მოხვდება მრეტების ანგარიშსწორების ანგარიშზე, **არაუგვიანეს 1992 წლის 19 აგვისტოსა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კონტრაქტი ჩაითვლება გაუქმებულად".**

უცხოა – **არ არსებობს 1992 წლის 19 აგვისტომდე** (მას შემდეგაც) კოოპერატივ ფკ „მრეტების" ანგარიშზე ერთი მილიონი მანეთის მოხვედრის შემთხვევა.

ამდენად, საგადასახადო კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, საგადასახადო ინსპექციაში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ3 კონტრაქტის კანორნიერი არსებობა გამორიცხულია, არ დასტურდება. რომც ყოფილიყო ასეთი, ამავე კონტრაქტის § 1.2-ის შეუსრულებლობის გამო **„ეს კონტრაქტი ჩაითვლება გაუქმებულად".**

საყურადღებოა ისიც, რომ სადავო 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტს აღრიცხვაზე აყვანის დასმულ ბეჭედზე წერია „შემოსულია №ფ-29 **1993 წლის 8 დეკემბერს".** ე.ი. თითქმის წელიწადნახევრის შემდეგ.

დასაწყისში კოოპერატივ ფკ. „მრეტების" შესახებ გვქონდა საუბარი. უნდა გამოვკვეთოთ, რომ არსებული მასალების მიხედვით, შრომით კოოპერატივ მინი ფეხბურთის კლუბ „მრეტებს" რეგისტრაციის დღიდან – 1988 წლის 3 თებერვლიდან 1993 წლის 30 მარტამდე იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არ შეუცვლია და არც მის წესდებაშია რაიმე ცვლილება შეტანილი (საგადასახადო ინსპექციის საქმე №7. სფ 78...84).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ სასარჩელო განცხადებასთან მე-5 დანართად წარმოდგენილი ფკ თბილისის „დინამოს" და გ. ქინქლაძეს შორის 1992 წლის 1 ივლისის (ათი დღით ადრე დადებული) კონტრაქტი გამორიცხავს 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტის კანონიერ არსებობას, თუნდაც – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის 1997 წლის 2 იანვრის დადგენილება №1-ის სახელით გენერალური მდივნის დ. კვინიკაძის სურვილისა და შეხედულებისამებრ – სადავო, 1992 წლის 11 ივლისის №კ-ოფ 3 კონტრაქტს ძალმოსილ, მოქმედ ხელშეკრულებად მივიჩნევთ, უნდა გაირკვეს **ვინ არის დღეს სადავო კონტრაქტში „მრეტებად" წოდებული და „დინამოდ" წოდებული.**

სასამართლოში წარმოდგენილია ქ. თბილისის ადგილობრივი მმართველობის ვაკის რაიონის გამგეობის 28.05.98 წ. №561/402 პასუხი:

თქვენი 21.05.98 წ. №03 წერილის პასუხად გიგზავნით ერთი პირის საწარმო „მრეტები"-ს №211/4-03 1992 წ. სამფურცლად. პრეზიდენტი ვ. ჩხაიძე.

**სხვა პირველადი მასალები ერთი პირის საწარმოს შესახებ გამგეობაში არ იძებნება".**

თაბახის სამ ფურცელზე განაწილებული ნახევარი გვერდის მოცულობის ვაკის რ-ნის ადგილობრივი მმართველობის გმგეობის 13.05.92 წ. №211/4-03 პასუხში (დანართი №41) – „განკარგულება ვაკის რაიონის ტერიტორიაზე საწარმოს (სამეურნეო ამხანაგობისა, საზოგადოების) ფილიალის რეგისტრაციის შესახებ" – მრეტებთან დაკავშირებით ერთადერთი პუნქტია:

„13. გატარდეს რეგისტრაციაში ერთი პირის საწარმო – ფეხბურთის კლუბი „მრეტები", რომელიც შეიქმნა კოოპერატივი „მრეტების" ბაზაზე და წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს". კოოპერატივის ბაზაზე ერთი პირის საწარმოს შექმნა იმ პროცესუალური სამართლებრივი ნორმის დაცვას მოითხოვს, რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს და წერილობით დაფიქსირდეს. მაგ. კოოპერატივის წევრთა ნების გამოხატულება, საერთო ქონების, საკუთარი წილის, მოვალეობების, ვალდებულებების, სხვა ორგანიზაციული საკითხების და ა.შ. ერთი სიტყვით – პირველი და ძირითადი, საფუძველი კოოპერატივის ბაზაზე ერთი პირის საწარმოს შექმნისა ე.ი. (ჩვენს შემთხვევაში) ერთი პირის კუთვნილებაში გადასვლისა არის კოოპერატივის საერთო კრების ოქმი, გადაწყვეტილება. ხოლო რეგისტრაციისას – გარდა აღნიშნულისა, მატერიალური და არამატერიალური აქტივების მიღება-ჩაბარების ოქმი, რომელიც ყველა წევრის ხელმოწერითა და ნოტარიალური წესით უნდა იყოს დამოწმებული.

**ერთადერთი დოკუმენტი** (თუ ასეთად ჩავთლით), რომ რეგისტრირებულია ერთი პირის საწარმო ფკ „მრეტები" – არის **„სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა",** რომელიც 1995 წელს ფირმა რუდოლფ მენდე **გმბჰ-ს ფილიალის რეგისტრაციისათვის არის სასამართლოში** მე-6 ფურცლად წარმოდგენილი. თუმცა, **აღნიშნულ მოწმობაშიც არ არის კოოპერატივის უფლებამონაცვლეობის შესახებ შესაბამისი აღნიშვნები.**

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვაკის რ-ნის გამგეობის 13.05. 1992 წ. №211/4-03 განკარგულებაში და „სახელმწიფო რეგისტრაციის მუდმივ მოწმობაში" არ არის მითითებული თუ **ვინ არის ის კერძო პირი – დამფუძნებელმეპატრონე.** რომ საწარმო „შეიქმნა კოოპერატივი მრეტების ბაზაზე" – ვინ არის ის ერთი პირი, ინდივიდუალური მეწარმე? თუ იგულისხმება, მაინც რომელი იგულისხმება კოოპერატივის ექვსი (წევრიდან) დამფუძნებლიდან? რით, იხელმძღვანელა გერმანულმა ან ჩვენმა იურიდიულმა სამსახურმა, როდესაც ერთ ინდივიდუალურ მეწარმედ, (თანაც კოოპერატივის უფლებამონაცვლედ) ვ. ჩხაიძე „აკურთხეს"?

**უფლემონაცვლეობისათვის** სამართლებრივი ნორმების შესაბამისად **საჭირო აუცილებელი დოკუმენტაციის** არ არსებობის გარდა, **არ არის** მისი რეგისტრაციიდან მოყოლებული ბიუჯეტთან ანგარიშსწორების, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში, სტატისტიკურ და საბალანსო, საფინანსო ორგანოებში დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადებში წლიური და კვარტალური ანგარიშებისა და ბალანსების წარდგენის **არცერთი საბუთი.**

ყოველივეს ფონზე საეჭვოდ გამოიყურება ხელის საბეჭდ მანქანაზე „კაპიროვკით" თაბახის ერთ ფურცელზე შესრულებული დაუნომრავი „სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა", თუმცა, ვიმეორებ – იგი არ ადასტურებს კოოპერატივის უფლებამონაცვლეობას და არ ასახელებს ერთი პირის საწარმოს დამფუძნებელ პიროვნებას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საგადასახადო ინსპექციაში არსებული დოკუმენტაციის მონაცემებით კოოპერატივი ფკ მრეტების იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა უცვლელია, მაშინ არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი ვაკის გამგეობის 28.05.98 წ. პასუხი – თუ რატომ **„არ იძებნება გამგეობაში სხვა პირველადი მასალები ერთი პირის საწარმოს შესახებ" (დანართი №41).**

ჩ ა ვ თ ვ ა ლ ო თ, რომ ერთი პირის საწარმო ფკ მრეტები რეგისტრირებულია ყველა ნორმის დაცვით.

* * *

კომპიუტერული **უახლესი ტექნიკით** შესრულებული, ერთი პირის საწარმოს ფკ „მრეტების" წესდება, რომლის ერთადერთი მიზანია **„სიხარული მიანიჭოს ქართული ფეხბურთის გულშემატკივართ"** (სფ3) და რომლის **„საწესდებო კაპიტალი შეადგენს 21,82 მილიონ აშშ დოლარს,** დამტკიცებულია ვ. ჩხაიძის მიერ 1992 წლის 28 აპრილის თარიღით და რეგისტრირებულია თბილისის მერიის ვაკის რ-ნის გამგეობის მიერ 1992 წლის 13 მაისს №211/4-03 განკარგულების საფუძველზე. აქაც არაფერია თქმული უფლებამონაცვლეობის, სამართალმემკვიდრეობის შესახებ. ამავე დროს ფუნქციონირებას განაგრძობს კოოპერატივი მრეტები, ისე რომ რაიმე ცვლილებაც კი არ შეუტანია წესდებაში.

ამრიგად, 1992 წლის 13 მაისს რეგისტრირებული **ერთი პირის საწარმო ფკ „მრეტები" არ წარმოადგენს კოოპერატივ „მრეტების" იურიდიულ სამართალმემკვიდრეს.** იგი ცალკე დამოუკიდებელი, იურიდიული ფორმითა და თვისობრივად განსხვავებული ერთეულია.

სადავო კონტრაქტის №კ-ოფ3 შედგენა დათარიღებულია 1992 წლის 11 ივლისის რიცხვით. ე.ი. იმ დროს როდესაც არსებობდა (რეგისტრირებულია) და ფუნქციონირებდა კოოპერატივი „მრეტები", და ერთი პირის საწარმო „მრეტები". კონტრაქტის მიხედვით ფკ „მრეტების" პრეზიდენტი დავით დვალიშვილია. კონტრაქტზე დვალიშვილის ხელმოწერასთან დასმული კოოპერატივ მრეტების ბეჭდისა და პარაგრაფ 1-ის მიხედვით. კონტრაქტში მრეტების მხარედ – კოოპერატივი მრეტებია წარმოდგენილი. კოოპერატივ „მრეტებზე" ეპს-ის „მრეტების" უფლებამონაცვლეობაზე და ამ გზით მემკვიდრეობით მიღებულ უფლებებზე მსჯელობაც შეუძლებელია. მით უფრო, აღნიშნულ კონტრაქტზე ერთი პირის საწარმოს „მრეტების" უფლებები აბსურდის აბსურდია, რადგან როგორც ვთქვით, კონტრაქტის ხელმოწერის დროს – 1992 წლის II ივლისს ეპს „მრეტები" უკვე ორი თვის რეგისტრირებული იყო და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუკი ერთი პირის საწარმოს ქინქლაძეზე უფლებები ქონდა, მაშინ ასეთ კონტრაქტში „მრეტების" მხარედ ერთი პირის საწარმო უნდა ყოფილიყო ვაჟა ჩხაიძის სახით. ამავე დროს ეპს-ს უფლებები ქინქლაძეზე გამორიცხულია, შეზღუდულია, რადგან 10 დღით ადრე ქინქლაძეს, ორი წლის ვადით ხელშეკრულება დინამოსთან გაფორმებული ქონდა.

ამრიგად, იქმნება ურთიერთგამომრიცხავი მიზეზობრივი წინააღმდეგობები. 1992 წლის **11 ივლისისათვის** რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს კოოპერატივი ფკ „მრეტები", პარალელურად რეგისტრირებულია ერთი პირის საწარმო „მრეტები". უფლებამონაცვლეობა და სამართალმემკვიდრეობა გამორიცხულია და არც დასტურდება. ერთი პირის საწარმოს რა უფლებები ქონდა ფეხბურთელ გ. ქინქლაძის მიმართ? პირობითადაც რომ დავუშვათ კოოპერატივ „მრეტების" იურიდიული სამართალმონაცვლეობა, ერთი პირის საწარმოს „მრეტების" პარალელურად როგორ ან რატომ ფუნქციონირებდა კოოპერატივი მრეტები? მაშინ ვინ არის კონტრაქტზე **„მრეტებად წოდებული, პრეზიდენტის ბატონ დავით დვალიშვილის სახით, ერთის მხრივ"** ხელმომწერი? ან ვინ არის დღეს მოდავე გეშეფთფიურერი ვ. ჩხაიძის სახით რუდოლფ მენდე გმბჰ-ს ფილიალი ფკ „მრეტები"?

თქვენთან წარმოდგენილი ვაკის სასამართლოს „მრეტების" საქმის (სფ20) და აუგსბურგიდან 1998 წლის 25 აპრილის ფაქსების მიხედვით (დანართი №50 №51) მიუნხენში 1995 წლის 27 სექტემბერს **„რუდოლფ მენდე Cmbh-ს დამფუძნებელთა კრებამ, ხმების 100 %-ით დაადგინა:**

1. შეიცვალა ეპს ფკ მრეტების (რეგისტრირებული თბილისის ვაკის გამგეობის გადაწყვეტილებით №211/4-03, 13.05.92) ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმა, **იგი გარდაიქმნა რუდოლფ მენდე Cmbh-ს ფილიალად, საქართველოს რესპუბლიკაში."**

ერთობლივმა კრებამ, ხმების 100 %-ით დაადგინა:

ეპს ფკ მრეტების (თბილისი) დამფუძნებელმა ბატონმა ვაჟა ჩხაიძემ, თავისი, როგორც ეპს ფკ მრეტების დამფუძნებლის წილი და უფლება-მოვალეობანი **სრულად (100 %) და უპირობოდ გადასცა რუდოლფ მენდე Cmbh-ს 1995 წლის 6 ივლისს,** ხოლო რუდოლფ მენდე Cmbh-მ, თავის მხრივ სრულად (100 %) და **უპირობოდ მიიღო** ეპს ფკ მრეტების (თბილისი) დამფუძნებლის წილი და უფლება-მოვალეობანი, **1995 წლის 6 ივლისიდან".** (სფ18).

აღნიშნული დადასტურებულია ვ. ჩხაიძის მიერ 1995 წლის 27 სექტემბრის თანხმობაში (სფ26).

ვაკის რაიონის სასამართლოსთვის გაგზავნილ 12.10.95 წლის №03/275 წერილში სფფ-ს გენერალური მდივანი დ. კვინიკაძე აღნიშნავს:

**„სფფ მიესალმება ამ მოვლენას და შუამდგომლობს, რათა იურიდიულად დააფიქსიროთ ეს ფაქტი."** (სფ15.)

ფაქტიურად საქმე მარტო უცხო ქვეყნის ფილიალის დაარსებასთან არა გვაქვს, უნდა დავაზუსტოთ, რომ თუ საქართველოს მოქალაქემ ვ. ჩხაიძემ ერთი პირის საწარმოს სახით მთელი ქონება უფლება-მოვალეობანი „სრულად (100 %) უპირობოდ გადასცა" **1995 წლის 6 ივლისს** – უცხო ქვეყნის საწარმოს, „ხოლო რუდოლფ მენდე Cmbh-მ თავის მხრივ, სრულად (100 %) და უპირობოდ მიიღო „ეპს-ს ქონება უფლებამონაცვლეობანი **1995 წლის 6 ივლისიდან"** – ე.ი. **ეპს „მრეტები". 1995 წლის 6 ივლისიდან გაუქმებულია.**

აქ გამოყენებული ტერმინი – გარდაქმნა, პრაქტიკულად უცხო ქვეყნის საწარმოზე გადაცემაა. სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე დაწერილ განცხადებაში (სფ23) ერთმნიშვნელოვნად, გამოკვეთილად და გასაგებადაა ნათქვამი: **„რუდოლფ მენდე Cmbh-ს ბალანსზე გადმოვა ეპს ფკ მრეტების ქონება".**

ამრიგად, უცხო ქვეყნის საწარმოსთან – იურიდიულ პირთან შერწყმის გამო გაუქმდა ეპს მრეტები. ეს უცხო ქვეყნის იურიდიული პირი ფილიალს ქმნის (აარსებს, აფუძნებს) საქართველოში – „რუდოლფ მენდე Cmbh-ს საქართველოს ფილიალი ფეხბურთის კლუბი მრეტები".

გაუგებარია, რომელი კოდექსით, რომელი სამართლებრივი ნორმებით ხელმძღვანელობდა ვაკის რ-ნის სასამართლო, როდესაც გეშეფთფიურერის ბ-ნ ვაჟა ჩხაიძის 1995 წლის 27 სექტემბრით დათარიღებული განცხადების თუნდაც პირველივე აბზაცის სამართლიანობა იწამა. ნუთუ წინადადება: „რუდოლფ მენდე გმბჰ-ს ბალანსზე გადმოვა ეპს ფკ მრეტების ქონება" – არ ბადებს რამდენიმე თუნდაც კითხვის საფუძველს? მხოლოდ განცხადებაა საჭირო და დამაკმაყოფილებელი, რომ საქართველოს საწარმოს იურიდიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეეცვალოს და უცხო ქვეყნის ორგანიზაციის ფილიალი გახდეს, თან მთელი ქონება „100 %"-ით გადაულოცო ისე, რომ არც დაინტერსდე რა ქონებაზეა ლაპარაკი.

... ან ვერ გაიცნობიერეს ეპს მრეტების საწესდებო კაპიტალი – **21,82 მილიონი აშშ დოლარის ოდენობა?** დღესაც, მითუმეტეს 1992 წელს, როდესაც დედა თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს მცირეწლოვანი შვილების გამოკვების შეუძლებლობის გამო, როდესაც ათასობით სასოწარკვეთილი პენსიონე-

იხ. მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მეხუთე გვერდიდან)

რი თვეობით ელოდა ორი კვერცხის სყიდვისუნარიან პენსიას... თითქმის 22 მილიონი აშშ დოლარი სოლიდური თანხაა. მთელი რიგი კითხვებია, რაზედაც პასუხის გაცემა აღნიშნული სასამართლოს „ნამუსზეა".

ადარაფერს ვამბობ ლაფსუსებზე, რომლებიც მრეტების სამართალწარმოებაში არის დაშვებული და პროცესუალური ნომრების დაუცველობაზე, რომლის პარალელურად მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნილებათა იგნორირებით ვაკის რ-ნის სასამართლოში 1995 წლის 12 ოქტომბრის გმბჰ-ს საზოგადოების ფილიალი ფკ მრეტებია რეგისტრირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება, საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" 5.8 მუხლის შესაბამისად გაუქმების ქვემდებარეა.

ერთი სიტყვით, 1995 წელს საქართველოში დაარსდა გერმანული ფირმის ფილიალი ფკ მრეტები. 1996 წელს გერმანულმა ფილიალმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იჩივლა იმ მოტივით, რომ მას აქვს 1992 წლის 11 ივლისს გაფორმებული მრავალმხრივი კონტრაქტი, სადაც მხარედწარმოდგენილ შრომით კოოპერატივ მრეტებს ამ კონტრაქტის შესაბამისად ეკუთვნის ამავე კონტრაქტის ერთ-ერთი მხარისგან – ფკ დინამოსგან 875 000 აშშ დოლარი, გერმანული ფილიალი აცხადებს, რომ იგი უფლებამონაცვლეა საქართველოს ეპს- სი, რომელიც თავის მხრივ კიდევ უფლებამონაცვლეა შრომითი კოოპერატივის. ამდენად, როგორც უფლებამონაცვლის უფლებამონაცვლე – უფლებამოსილია კოოპერატივ მრეტების სახელით „სარჩელის" აღძვრისა.

მიუხედავათ იმისა, რომ სფფ სადავო კონტრაქტში მხარედაა წარმოდგენილი, სადაც მხარედ მონაწილეობისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა 100 000 (ასი ათასი) მანეთი აქვს ფიქსირებულად მიღებული – წარმოებაში მიიღო და 1997 წლის 2 იანვრის „დადგენილება №1"-ით დააკმაყოფილა კიდეც გერმანული ფილიალის საჩივარი, სადაც მითითა გადახდის ვადები და სამისამართო რეკვიზიტები გერმანიაში, სადაც ფკ დინამოს უნდა გადაერიცხა **875 000 აშშ დოლარი.**

როგორც ცნობილია, შპს დინამომ სფფ-ს გადაწყვეტილება არ სცნო და მოითხოვა სადავო კონტრაქტის სასამართლოში განხილვა. სფფ-მ ასეთი ფიფა-ს და უეფა-ს კანონების დარღვევად მიიჩნია და შეჯიბრებაში გამოსვლის აკრძალვის მუქარით აიძულა დინამო, სარჩელი დროებით შეეჩერებინა (იხ. სასარჩელო განცხადების დანართი „საქართველოს სპორტი" №52, № 55).

საქმეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის როლი და მნიშვნელობა დიდია. ამდენად, მათი აშკარად ტენდენციური დამოკიდებულების გამო, საჭიროდ მიმაჩნია საგანგებოდ მსჯელობა.

პატივცემულო მოსამართლენო, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სადავო 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტი, სადაც ერთ-ერთ მხარედ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია – მიზნობრივად დაწერილი სცენარია, რომლის დადგმას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რეჟისორობს და რომლის რეალიზაციისათვის არ მოერიდა „აკრძალული ილეთების" გამოყენებას, რის გამოც თავადვე აღმოჩნდა უკანონო რებუსების საკმაოდ რთულ მაქინაციებში გახლართული.

ამგვარად, აშკარად გამოიკვეთა კორუფცირებულ ადამიანთა წრე სფფ-ში (და არა მარტო სფფ-ში) კარგად მოეხსენებათ, რომ ეპს ფეხბურთის გუნდი „მრეტები" არ არსებობდა და თვით ამ საწარმოს ერთადერთი წარმომადგენელი ვაჟა ჩხაიძე ხუთ წელიწადზე მეტია საქართველოში თვალითაც არავის უნახია, რომ 1995 წლის ოქტომბრისთვის საწარმო ფორმით – როგორც იურიდიული ერთეული არ არსებობდა, რომ საზოგადოება რუდოლფ მენდე გმბჰ საქართველოს საფეხბურთო მეურნეობისთვის უცხოა და ამ თვალსაზრისით მის ფილიალს საქართველოში „მრეტებს" დაარქმევდნენ, „ბურევესტნიკს" თუ „დინამოს" თავისთავად რაიმეს გარანტად ჩათვლის საფუძველს არ იძლევა.

სფფ-ს გენ მდივანმა დავით კვინიკაძემ ვაკის სასამართლოში უცხო ქვეყნის ფილიალის რეგიტრაციისათვის შუამდგომლობით იურიდიულად დაადასტურა თანამონაწილეობა და მოუმზადა გერმანულ მხარეს, მათთან წინასწარ შეთანხმებულ სადავო კონტრაქტის რეალიზაციისათვის.

დ. კვინიკაძე როგორც იმპრესარიო სათავეში მოექცა დავას, რომელიც საზოგადოებისთვის „სკანდალი №1" არის ცნობილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სფფ-მ განსახილველად მიიღო გერმანული იურიდიული პირის საჩივარი. შეგახსენებთ, რომ საზოგადოება, რუდოლფ გმბჰ-ს არც ფეხბურთელ ქინქლაძესთან და არც შპს დინამოსთან ჰქონია რაიმე საერთო. რაც შეეხება ვაჟა ჩხაიძეს, ის მათი თანამშრომელია ისეთივე, როგორც ფრიდრიხ ბოიმელი. ეპს მრეტები რომ იურიდიული სამართალმონაცვლე არ არის კოოპერატივ მრეტებისა – გვქონდა საუბარი. უფრო მეტიც –სად კოოპერატივი მრეტები, სად რუდოლფ მენდე გმბჰ. ესეც არ იყოს, სად არის ის დოკუმენტი, რომლითაც მემკვიდრეობით, სამართალმონაცვლეობით თუ გარანტიებით სადავო კონტრაქტი წილში რომ ერგო რუდოლფ მენდე გმბჰ-ს საზოგადოებას!

**1992 წლის 11 ივლისს** სფფ ფიფა-ს წევრი არ იყო. სფფ-ს უნდა ჰქონოდა ინფორმაცია შრომითი კოოპერატივ „მრეტებსა" და ეპს „მრეტების" შესახებ. მიზერული განათლება იყო საჭირო მათ შორის განსხვავებაში გარკვევისათვის. 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტი ერთ ფიზიკურ და სამ იურიდიულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაა, რომელიც სახელშეკრულებო სამართალით რეგულირდება და დავის განხილვაც ქვემდებარეობის მიხედვით სასამართლოს განსჯადია.

სფფ-მ მაინც მიიღო წარმოებაში საზოგადოება რუდოლფ მენდე გმბჰ-ს საჩივარი. მიუხედავად იმისა, რომ სადავო კონტრაქტში სფფ მხარეს წარმოადგენს და მრეტებისაგან – მხარედ მონაწილეობისათვის ასი ათასი მანეთი მიიღო, თავადვე იკისრა მოსამართლეობა. 1997 წლის სადღესასწაულო დასვენების დღედ გამოცხადებულ 2 იანვარს ე.წ. საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის ოთხი წევრისგან შემდგარმა სხდომამ, მოპასუხე მხარის – დინამოს და ფეხბურთელის დაუსწრებლად გამოიტანა „დადგენილება №1", სადაც გამორკვევისა და განხილვის ნაწილად ჩათვლილი რამდენიმე სიტყვისაგან – ზუსტად ერთი წინადადებით ჩამოყალიბებული ინფორმაციული ცნობის შემდეგ, მეორე პუნქტად წერია:

„ფკ თბილისი „დინამო" ვალდებულია ამ თანხის 50 %, რაც შეადგენს **875000** (რვასს სამოცდათხუთმეტი ათასს) **აშშ დოლარს, გადაუხადოს ფკ თბილისის „მრეტებს"** შემდეგ ანგარიშზე: და მითითებულია **აუგსბურგში** საბანკო რეკვიზიტები.

წარმოგიდგენთ სფფ-ს საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის სხდომის 1997 წლის 2 იანვრის ოქმს (დანართი №45) როგორც კიდევ ერთი დადასტურება სასამართლო პროცესის იმიტაციისა. თაბახის ერთგვერდიან ოქმში ვკითხულობთ:

**„კომიტეტი რჩება სათათბიროდ გადაწყვეტილების მისაღებად.**

**ქვეყნდება გადაწყვეტილება (თან ერთვის)**

თავმჯდომარე **(ლ. გორხელაშვილი)**

მდივანი **(თ. ფანიაშვილი)**

ოქმში გორხელაშვილს და ფანიაშვილს ხელი მოწერილი აქვთ, გადაწყვეტილებას კი **ხელს აწერს დ. კვინიკაძე,** რომელიც არც ესწრებოდა სხდომას. იგი მოსამართლეობას „ოდნავ" აჭარბებს და გადაწყვეტილებაში მეხუთე პუნქტად წერს:

**„5. სფფ აფრთხილებს** ფკ თბილისის „დინამოს", რომ თუ იგი არ შეასრულებს ამ დადგენილების პირობებს, მაშინ სფფ იმოქმედებს თავისი წესდების შესაბამისად".

შპს ფკ თბილისის „დინამომ" იმთავითვე განაცხადა, რომ სადავო კონტრაქტი მისთვის უცხოა და ერთ თეთრსაც არ გადაიხდის. სფფ-ს მაშინდელი პრეზიდენტი დინამოს ძალაში ჯერ არშესული წესებით დაემუქრა:

**„სფფ გაფრთხილებთ სასწრაფოდ** მოაგვაროთ გ. ქინქლაძის ტრანსფერთან დაკავშირებული **ფინანსური საკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში** ფიფა-ს სადიციპლინო კომიტეტის მიერ ახლად დამტკიცებული საპროცედურო წესების შესაბამისად, **რომელიც ძალაში შედის 1997 წლის 1 ივლისიდან** ფკ თბილისის „დინამოს" მიმართ გამოყენებული **იქნება უმკაცრესი ზომები კლუბისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობის აკრძალვის ჩათვლით"** (დანართი №46).

მხოლოდ შეგახსენებთ, რომ სფფ-ს თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. თითქმის ყოველდღე პრესაში „სკანდალი №1", „სკანდალი №2" და ა.შ. კონფლიქტების შესახებ იწერებოდა. სფფ-ს თავკაცებს ხან „გოიმებად" იხსენიებენ, ხან დამნაშავეებად. დეგრადაციის გზაზე მდგარი საფეხბურთო სპორტში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად მოწვეულ საგანგებო სხდომებს სფფ-ს თავკაცები არაფრად აგდებდნენ, არც ცხადდებოდნენ.

სფფ-ს საინფორმაციო სამსახურის შეფმა ჟურნალისტს თხოვნით მიმართა სიტყვასიტყვით გამოექვეყნებინა, რომ **„ფეხებზე ჰკიდია თავისი თანამდებობა" (11X11. №79. 1997 წ.)**. გენ-მდივანმა დ. კვინიკაძემ განაცხადა **„თუ ჩვენ რაიმე უკანონობა ჩავიდინეთ, ჩვენ ამ უკანონობის ჩადენის უფლება გვქონდა" („საქართველოს სპორტი" №41. 1997 წ.)**. ქალთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ვაჟა ჟვანიამ ჯერ პარლამენტში საგანგებო სხდომაზე, შემდეგ ღია წერილით „ათასი ფუთი ბრალდება" („საქართველოს სპორტი" №73. 1997 წ.) სფფ-ს თავკაცნი ამხილა დანაშაულში და მიმართავს ქვეყნის პრეზიდენტს, რომ მას აქვს დამადასტურებელი საბუთები, მათ შორის გია გურულის ტრანსფერიდან **ათი ათასი აშშ დოლარის უკანონოდ მითვისების შესახებ.**

**„მაგრამ გაუძლებთ როგორმე, 140 კილო მე ვარ, 90 ანდრიაძე: გვყავნან კიდევ მძიმეწონოსნები. ისე რომ არც ისე იოლია ჩვენი წაქცევა". („ქართული ფეხბურთი" №4. 1997 წ.)** – აცხადებს სფფ-ს პრეზიდენტი.

მეც, და სხვა ბევრი, მადლიერია კარგის მკეთებლისა, ეს იქნება 90 კილოგრამიანი ანდრიაძე თუ სხვა „მძიმეწონიანი", თუ მათი ნათესავმეგობრები ან თანამზრახველები. მაგრამ იმ დროს, როდესაც მაღალი ტრიბუნიდან საქვეყნოდ ათი ათასობით, ასი ათასობით, და მილიონობით დოლარის მითვისებაში ედება ბრალი ვინმეს და რეაგირების გარეშე რჩება – **„საქართველოს რესპუბლიკის (№110 1997 წ.)** რუბრიკა **„მწარე სინამდვილე"** გვამცნობს: **„...იგი არასრულწლოვანთა კოლონიაში იხდის სასჯელს — ისევ საჭმელი მოუპარავს ჯიხურიდან"** და კითხვა სათაურად გამოაქვს **„ვინ არის დამნაშავე?!"**

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო მოსამართლენო! თქვენს წინაშეა რეალური ცხოვრების მაგალითი: მცირეწლოვანი ბავშვი, რომელსაც საჭმლის მოპარვისათვის მართლმსაჯულებამ თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცნი, რომელნიც მართალია დანაშაულში იმხილებიან, მაგრამ სულაც „ფეხებზე ჰკიდიათ თანამდებობა" რადგან თუ „დანაშაულს ჩაიდენენ მათ აქვთ ამ დანაშაულის ჩადენის უფლება". იქნებ ამ „მწარე სინამდვილის" შესახებ თქვენი გასაცემია პასუხი „ვინ არის დამნაშავე?!".

მე კი მგონია, იმ ყმაწვილსაც ექნებოდა დანაშაულის ჩადენის უფლება და საჭმელის კი არა, აქლემის ქურდობასაც „ფეხებზე" დაიკიდებდა, თუ მასაც 90 კილოგრამიანი „მძიმეწონიანი" ეყოლებოდა თანამზრახველი. ნეტა ვცდებოდე...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 1997 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილება მთელ რიგ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებთან არის დაკავშირებული. ფაქტიურად სფფ-მ საკონფლიქტო საკითხთა კომიტეტის სახით შექმნა სასამართლოს კომპეტენციის სპეციალური სასამართლო, რაც საქართველოს კონსტიტუციის 83.4 მუხლის შესაბამისად – „დაუშვებელია". მან წარმოებაში მიიღო სახელშეკრულებო დავა – რითაც იგნორირებულია დავის ქვემდებარეობით განხილვის წესი. სფფ-ს არ ჰქონდა უფლება მოსამართლეობა ეკისრა, რადგან სადავო კონტრაქტში იგი მხარედ არის წარმოდგენილი და მხარედ მონაწილეობისათვის მრეტებისაგან – ე.ი. მომჩივანისაგან ასი ათასი მანეთი ჰქონდა მიღებული (კონტრაქტის მიხედვით). არ გაიცნობიერა, რომ დავის საგანი არასათანადო პირის მიერ იყო წარმოდგენილი, საქმე განიხილა ქვეყანაში სადღესასწაულო დასვენების დღედ გამოცხადებულ 2 იანვარს, ბოლოს და ბოლოს – არ გაერკვა ხელშეკრულების პირველსავე პუნქტებში, რომლის შეუსრულებლობაც კონტრაქტს გაუქმებულად აცხადებდა. იგნორირებულია მთელი რიგი პროცესუალური ნორმები, რის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

იმ დროისათვის ძალაში ჯერ არშესული სასჯელის უმკაცრესი ზომის, ევროტურნირებიდან გაძევების მუქარით, სფფ აიძულებდა შპს ფ.კ. „დინამოს" 1997 წლის 2 იანვრის ყოვლად უკანონო დადგენილების შესრულებას. „დინამოს" დაუმორჩილებლობის გამო ოთხჯერ „იმსჯელა" სფფ-ს აღმასკომმა „საგანგებოდ". არც ერთხელ არ მისცეს ჟურნალისტებს აღმასკომზე დასწრების უფლება, რადგან დანაშაულებრივი მოქმედების გამოაშკარავებისა ეშინოდათ. დინამოს დაყენებულ მოთხოვნას, რომ 2 იანვრის დადგენილება უკანონოა, რომ სასამართლოს ქვემდებარე სადავო ხელშეკრულება სასამართლომ უნდა განიხილოს და მიუთითებდა კიდეც ქალაქის პროკურატურის 07.08.97 წ. №8-ბ იურიდიულ დასკვნას (დანართი №80), კორუმპირებული აღმასკომი სამარისებური სიჩუმით თანაუგრძნობდა დ. კვინიკაძეს – რომელიც სასამართლოში განხილვას ფიფა-ს და უეფა-ს კანონების დარღვევად მიიჩნევდა და „გამოსავალს" მხოლოდ: სფფ-ს პრეზიდენტის დაბადების დღეს და მთელს საქრისტიანოში სადღესასწაულო, საქართველოში დასვენების დღედ გამოცხადებულ 2 იანვარს მიღებულ დადგენილების შესრულებას – 875 000 აშშ დოლარის გერმანული ფირმის სასარგებლოდ გადახდაში ხედავდა.

სფფ მხოლოდ თანხის გადახდის შესახებ გადავადების ინფორმაციას ავრცელებდა. კვინიკაძემ პოზიციის გასამაგრებლად სფფ-ში სტუმრად (შეიძლება საგანგებოდ მოწვეულიც) მყოფი უეფა-ს იურიდიული სამსახურის უფროსი ჯოზეფ მიფსუდიც დაიხმარა, რომელმაც მოურიდებლად განაცხადა: **„თუ უეფას პოზიცია გაინტერესებთ, მინდა დავაფიქსირო, რომ უეფა ამ დავაში, რაღა თქმა უნდა, სფფ-ს მხარეს დაიჭერს და თუ რაიმე კომპრომისი არ გამოიძებნა, ქართული ფეხბურთი ევროპულიდან ამოიკვეთება. ეს ეხება როგორც ნაკრებებს, ისე საკლუბო გუნდებს". („საქართველოს სპორტი" 1997 წ. №50).**

ასე რომ ვთქვათ – დატერორებული „დინამო" იძულებული გახადეს სასამართლოში სარჩელის შეტანა შეეჩერებინა.

გარკვეული რეაქცია გამოიხატა წერილში, რომელიც 1997 წლის 18 ნოემბერს გაზეთ „სარბიელმა" სათაურით **„ყიფიანი განგაშის ატეხვას აპირებს"** – გამოაქვეყნა. იგივე აღმასკომმა **1997 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე დ. ყიფიანი გაანთავისუფლა საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან.** ამავე სხდომაზე და შემდეგ პრესაში გამოქვეყნებული დ. ყიფიანის კითხვა: აეხსნათ რატომ მოხდა, რომ ერთი კვირით ადრე სფფ-ს მალულად დ. ყიფიანი განთავისუფლებული ჰყავდა თანამდებობიდან, ამავე დროს მის მაგივრად კი ვ. გუცაევი დანიშნული და ასევე მალულად აღნიშნულის გამო ეცნობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციას, – ფორმალურად შეკრებილმა აღმასკომის პერსონაჟებმა და ამ „სპექტაკლის" დირიჟორმა დ. კვინიკაძემ – კითხვა უპასუხოდ დატოვეს.

„დინამოს" მიმართ სფფ-ს ხელშემშლელი მოქმედებების შესახებ ნაწილობრივ ინფორმირებულია საზოგადოება. გაზეთ „ლელოს" 1998 წლის №10-ში დავით ყიფიანი დაბეჯითებით აცხადებს: **„სანამ კორუფცია არ აღმოიფხვრება, ქართულ ფეხბურთს არ ეშველება".** დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

**იძულებული გახდა დავით ყიფიანი „დინამოს" მწვრთნელობაზეც ხელი აეღო და 90 კილოგრამიანი და სხვა მძიმეწონიანების „ქართულ ფეხბურთს" გასცლოდა.**

სფფ-ს უსამართლო და ტენდენციური დამოკიდებულების გამო აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა შპს ფ.კ. „დინამოს" საქმიანობას. ფაქტიურად ხელყოფილია ჩვენი ორგანიზაციის არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები. შელახულია ჩვენი პატივი, ღირსება, მორალური და საქმიანი რეპუტაცია.

საქართველოს კონტროლის პალატის და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ინფორმაციასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი აღიარება „ფეხფულთის ფედერაციად" წოდებული „მძიმეწონიანთა" კოლექტივის „დანაშაულებრივი მუშაობის შესახებ" გამოქვეყნდა გაზეთ „ასავალდასავალის" 27-ე ნომერში (დანართი №81).

ფაქტია – 1997 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილების ძალის მქონედ არის წარმოდგენილი, რომელსაც დ. კვინიკაძე აწერს ხელს. მან ბოროტად გამოიყენა საზოგადოების ნდობა, სამსახურებრივი მოვალეობა, უკანონო მოქმედებითა და ცრუ ინფორმაციით შეცდომაში შეიყვანა ფეხბურთის გულშემატკივრები, სახელმწიფო სტრუქტურები, საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციები. უკანონო ბრძანებაზე დაყრდნობით, ძალდატანებითა და მუქარით აიძულებენ შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" აუგსბურგში გადარიცხოს 875000 აშშ დოლარი. აღნიშნული ფაქტი არის რიგით კიდევ ერთი მცდელობა კანონის უხეში დარღვევების გზით ე.წ. ფულის გათეთრებისა.

– 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტი №კ-ოფ3 ფორმით კაბალურია. იგი ფეხბურთელს კარნახობს და განუსაზღვრელი ვადით – მთელი სიცოცხლის განმავლობაში ავალდებულებს **„გააფორმოს მხოლოდ ისეთი კონტრაქტი, რომელშიც სიტყვა-სიტყვით და სრულად იქნება შეტანილი შემდეგი მოქმედი პირობა (§ 3)** გარდა ამისა ფეხბურთელს უქმნის ნორმატიულ წინაპირობას პარაგრაფი 3-ის განხორციელებისას აღმოჩნდეს მხარესთან არათანაბარ პირობებში.

აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ ინფორმაცია საკმაოდ ცნობილია, ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა. წარმოგიდგენთ ქალაქის პროკურატურის განყოფილების უფროსის ღია წერილს ბ-ნ ფრიდრიხ ბოიმელისადმი. (დანართი №49 „ლელო" №67.1997 წ.).

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სადავო კონტრაქტის მიხედვით 1992 წლის 19 აგვისტომდე „მრეტების" ანგარიშსწორების ანგარიშზე უნდა მოხვედრილიყო ერთი მილიონი მანეთი, რომელიც „დინამოს" უნდა გადაეხადა. საგადასახადო ინსპექციის დოკუმენტაციით, სხვა წერილობითი მასალებით, მილიონი მანეთის გადახდა არ დასტურდება, პირიქით – თვით მრეტების დეკლარაციებითა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ეწინააღმდეგება ასეთის შესაძლებლობას.

მიუხედავად ყველაფრისა, დამატებით ჩემს მიერ თქვენთან სასამართლოში დაყენებული შუამდგომლობისა და არაერთგზის შეხსენებისა, მოპასუხე ფირმა რუდოლფ მენდე გმბჰ-ს მხარემ ვერ წარმოადგინა კოოპერატივ „მრეტების" ანგარიშზე 1992 წლის 19 აგვისტომდე „დინამოს" მიერ გადახდილი ერთი მილიონი მანეთის დამადასტურებელი საბუთი. რადგან ასეთი საბუთი არ არსებობს ამავე კონტრაქტის § 12-ის თანახმად **„ეს კონტრაქტი ჩაითვლება გაუქმებულად".**

აგრეთვე ვერ წარმოადგინეს სადავო №კ-ოფ3 კონტრაქტში მითითებული თითქოს „მრეტებსა" და ქინქლაძეს შორის არსებული კონტრაქტი. ე.ი. არ არსებობს რაიმე დოკუმენტი ფეხბურთელ ქინქლაძესა და კოოპერატივ „მრეტებს" შორის ურთიერთობისა და უფლებების შესახებ.

ცნობად მოგაწვდით, რომ კონტრაქტში მხარედ ფ.კ. „დინამოა", რომელიც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 29 დეკემბრის №57 დადგენილებით და მას 28.05.98 წლის №85 პასუხის მიხედვით: **„1992 წლის 11 ივლისისათვის ფეხბურთის კლუბ „დინამოს" იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არ შეუცვლია"** (დანართი №№53...56). წარმოგიდგენთ ჩვენს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს" სადამფუძნებლო და სახელშეკრულებო დოკუმენტაციას (დანართი №№57...59)

გთხოვთ:

1. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, რადგან მრავალი ფაქტი უკანონობისა სახეზეა – სსკ 94-ე მუხლის შესაბამისად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის დევნა.

2. საქართველოს სს კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად ბათილად ცნოთ 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტი №კ-ოფ3. ამასთან, გააუქმოთ ამავე კონტრაქტზე დაყრდნობით გამოტანილი სფფ-ს 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება.

3. სფფ-ს საკონფლიქტო კომიტეტის 1997 წლის 2 იანვრის უკანონო დადგენილების და მოვალეობის ბოროტად გამოყენების გამო, გთხოვთ გამოიტანოთ კერძო განჩინება სფფ-ს გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის მიმართ. მას წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე უნდა შეუჩერდეს ხელმძღვანელის უფლებამოსილება.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე და 408-ე მუხლების თანახმად გთხოვთ დააკისროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩვენთვის – შპს ფ.კ. „დინამოსთვის" მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანისთვის კომპენსაცია ფულადი სახით. მოპასუხის მიერ ჩვენთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანი კომპენსირებული იქნება სფფ-ს მიერ ფულადი კომპენსაციის 875000 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში.

**შენიშვნა: სასამართლომ ზემოჩამოთვლილი ოთხი მოთხოვნიდან დააკმაყოფილა მხოლოდ მე-2, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასამართლომ ბათილად სცნო 1992 წლის 11 ივლისის კონტრაქტი №კ-ოფ3 და გააუქმა ამავე კონტრაქტზე დაყრდნობით მიღებული სფფ-ს 1997 წლის 2 იანვრის №1 დადგენილება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

## დინამო თბილისი – ვლაზნია ალბანეთი 1-0 (0-0), თუ 3-0?

როცა მატჩის წინ, ტრადიციისამებრ, ჟურნალისტებს განაცხადის ასლები დაგვირიგეს, ჩვენი ყურადღება მაშინვე ერთმა გარემოებამ მიიპყრო – ალბანელებს ძირითადი ფეხბურთელების გარდა სიაში შეყვანილი ჰყავდათ მხოლოდ 3 სათადარიგო მოთამაშე, – მეკარე მუსტაფა და მინდვრის მოთამაშეები შლაკუ და ბიზი. ჰოდა, ჩვენმა სტუმრებმა მეორე ტაიმში მინდორზე შლაკუც გამოიყვანეს და ბიზიც, მაგრამ ბოლოს ისე გაუჭირდათ, №14 მაისურით გაურკვეველი ვინაობის მოთამაშეც წააშველეს თავიანთ კაცნაკლულ გუნდს (თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე კობიაშვილის წინააღმდეგ უხეში ილეთის გამოყენებისათვის მინდვრიდან ახლად შემოსული შლაკუ გააძევეს). გაურკვეველიო იმიტომ, რომ ეს ფეხბურთელი განაცხადში შეყვანილი არ იყო და ჩვენი მცდელობა შეხვედრის დამთავრების შემდეგ მაინც შეგვეტყო მისი გვარი, უშედეგოდ დამთავრდა. (ერთი კინოფილმისა არ იყოს – ნეტავი ის შავი კაცი ვინ იყო?).

ცხადია, ევროტურნირები ქუჩის პირველობა არ არის – მატჩის ბელგიელმა დელეგატმა ვილი გუვერტსმა ალბანელთა დარღვევა დააფიქსირა და თბილისიდანვე უეფაში ფაქსი აფრინა. ასე რომ, წერილის ქვესათაურში ანგარიში 3-0 ტყუილად არაა მინიშნებული – წესითა და რიგით უეფამ „დინამოს" ასეთი შედეგით უნდა მიაკუთვნოს გამარჯვება. სხვა საქმეა, ვიმსახურებდით კი ასეთ საჩუქარს და ვინ იცის, რომ არა ეს წყალობა, შევძლებდით კი შემდეგ ეტაპზე გასვლას? თუმცა, ყველაფერზე თანმიმდევრობით.

*დინამო:* სოლოღაშვილი, დიდავა, ჯელაძე, გუჩუა, ქემოკლიძე (ა. სახვაძე, 79), კობიაშვილი, კვარაცხელია, ცქიტიშვილი, ალექსიძე, მუჯირი (აშვეთია, 53), ხომერიკი.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩები

*ვლაზნია:* გრიმა, ზმიანი (№14, 83), შკაბარი, პრენჩი, ნოგა, ლიჩი, კაჩაი, ჰიზა (შლაკუ, 63), მილოტი (ბიზი, 90), კუნგუ, სინანი.
*გოლი:* ხომერიკი (53)
*გააფრთხილეს:* ჯელაძე
*გააძევეს:* შლაკუ
*მსაჯი:* კ. ბერტოლინი (შვეიცარია).



რატი ალექსიძე (ზოლიან მაისურში)
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

პირველად მოხდა, რომ უეფას მითითება ზედმიწევნით შევასრულეთ – სტადიონის მოუმზადებლობის გამო, 9000 მაყურებელზე მეტი მატჩს არ უნდა დასწრებოდა და უნდა ითქვას, ვინც იმ დღეს ტელევიზორთან დარჩა, არაფერი დაუკარგავს, იმდენად ულიმღამო და უინტერესო თამაში გამოდგა. „ვლაზნია" მართლაც, რომ ამართლებდა თავის სახელწოდებას – საძმოს, ოღონდ, უფრო სოფლის ამქარს წააგავდა. ფეხბურთელები მოქმედებდნენ ყოველგვარი იმპროვიზაციის გარეშე, ტაქტიკური სქემაც უმარტივესი ჰქონდათ: არავითარი ზედმეტობა – ბურთი მიიღე, გაიქეცი, დაარტყი. და ასეთ გუნდთან, წარმოიდგინეთ, „დინამოს" გაუჭირდა, რაზედაც მატჩის რეალური შედეგიც მოწმობს.

თქმა იმისა, რომ „დინამოს" მხოლოდ გამოუცდელი ფეხბურთელები ჰყავდა, ერთობ უმართებულოდ მიგვაჩნია. კობიაშვილს, დიდავას, ცქიტიშვილს, ჯელაძეს, გუჩუას, ალექსიძეს, მუჯირს, ხომერიკს, აშვეთიას უმაღლეს დონეზე არაერთხელ უთამაშიათ. აქამდე ევროტურნირებში არ უასპარეზიათ სოლოღაშვილს, ქემოკლიძესა და სახვაძეს. ასე რომ, დინამოელთა სუსტი თამაშის მიზეზი სხვაა. თანამედროვე ფეხბურთში ის გუნდი აღწევს წარმატებას, ვისი ფეხბურთელებიც ბოლომდე იხარჯებიან და მიზნის მისაღწევად ყოველ მატჩში ძალღონეს არ იშურებენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ „დინამოში"? დაუფარავად ვიტყვით, სავალალო. ჯერ კიდევ შარშან გუნდის მაშინდელი მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი „ლელოსთვის" მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი „დინამოს" მაისურს არაფრად აგდებს და მთელი ჟინით არ იბრძვის, საკუთარ ფეხებს უფრთხილდება, რათა მერე საქართველოდან გააღწიოს და ნებისმიერ საზღვარგარეთულ კლუბში გადავიდეს. როგორც ვატყობთ, მურთაზ ხურცილავასაც იგივე პრობლემები უნდა ჰქონდეს – წინამდებარე მატჩში მხოლოდ ალექსიძე და გუჩუა იბრძოდნენ თავგანწირვით. როცა მინდორზე 11 მოთამაშიდან მხოლოდ ორი იხარჯება ბოლომდე, ძნელია რაიმე შედეგზე იფიქრო.

ჯემალ ჭიკაშვილი

# ჩემპიონთა ლიგა

## პირველი მატჩები. 22 ივლისი.

სელტიკი (შოტლანდია) – სენტ-პატრიკი (ირლანდია) 0-0
ობილიჩი (იუგოსლავია) – ვესტ მანაეიარი (ისლანდია) 2-0
*1-0 იუსკიჩი (18), 2-0 გროზდიჩი (65).*
ჰიკი (ფინეთი) – ერევანი (სომხეთი) 2-0
*1-0 ვისი (60), 2-0 კუგი (85)*
ლიტექსი (ბულგარეთი) – ჰალმსტადი (შვედეთი) 2-0
*1-0 ბუში (7), 2-0 იურუკოვი (89).*
სტიაუა (რუმინეთი) – ფლორა (ესტონეთი) 4-1
*1-0, 2-0 ჩიოჩიოუ (12, 39), 2-1 ტერენკოვი (40), 3-1 სერბანი (78 პ.), 4-1 დანჩიოლესკუ (89).*
ლკს (ლოძი, პოლონეთი) – ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 4-1
*1-0 ცებულა (16), 2-0, 3-0 ტრჟეციაკი (50 პ. 76 პ.), 4-0 ვიზჩისკი (73), 4-1 სულეიმანოვი (83).*
კარედა (ლიტვა) – მარიბორი (სლოვენია) 0-3
ლა ვალეტა (მალტა) – ანართოსისი (კვიპროსი) 0-2
*0-1 პალაშკევა (52), 0-2 ოკასი (80).*
ზიმბრუ (მოლდოვა) – უიპეშტი (უნგრეთი) 1-0
*1-0 პულიკი (10 პ).*
გრასჰოპერსი (შვეიცარია) – ჟენესი (ლუქსემბურგი) 6-0
*1-0 რ. ნკუფო (6), 2-0 ყაველაშვილი (29), 3-0 კაბანასი (41), 4-0 ნკუფო (55), 5-0 ტიკვა (65), 6-0 მაგნინი (90).*
დინამო (უკრაინა) – ბარითაუნი (უელსი) 8-0
*1-0, 2-0 რებროვი (9, 16), 3-0 შევჩენკო (33), 4-0 რებროვი (37), 5-0 გერასიმენკო (48), 6-0 შევჩენკო (69), 7-0 ბელკევიჩი (65), 8-0 რებროვი (82).*
სილექსი (მაკედონია) – ბრიუგე (ბელგია) 0-0
ბეითარი (ისრაელი) – ტორსჰაგენი (ფარერები) 4-0
*1-0 შიტრიტი (2), 2-0, 3-0 სალოი (9, 45), 3-1 პეტერსენი (73 პ), 4-1 სალოი (78).*
კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) – კოშიცე (სლოვაკეთი) 1-5
*0-1, 2-0 ზვარა (22,29), 0-3 ნემეტი (35), 1-3 ფლინი (45), 1-4 ლიუბარსკი (59), 1-5 პროჰაზკა (71).*
სკონტო (ლატვია) – დინამო (ბელარუსი) 0-0.

# უეფას თასი

## პირველი მატჩები. 22 ივლისი.

არჯეში (რუმინეთი) – დინამო (აზერბაიჯანი) 5-1
*1-0 ემირა ბაკანი (3 სკ), 2-0 ბარბუ (5), 3-0 ბირდესი (26), 3-1 ალიევი (37 პ.) 4-1 ბარბუ (82 პ), 5-1 ჯილავეანუ (89).*
ბელშინა (ბელარუსი) – ცსკა (ბულგარეთი) 0-0
ომონია (კვიპროსი) – ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 5-1
*1-0 ჟიტანოვი (40), 2-0 რაუფმანი (43 პ), 3-0 ჟიტანოვი (60), 4-0* პანაიოტუ (65), 4-1 ფერგიუსონი (79), 5-1 კონდოლეფტეროსი (88).
შახტიორი (უკრაინა) – ბირკირკარა (მალტა) 2-1
*1-0 სელეზნიოვი (63), 2-0 კრივენცოვი (70 პ), 2-1 ზამიტი (78).*
ინტერი (სლოვაკეთი) – ტირანა (ალბანეთი) 2-0
*1-0 სუჩანჩოკი (14), 2-0 მიკლოში (58).*
ჰაფნარი (ფარერები) – ვაასა (ფინეთი) 2-0
*1-0, 2-0 იოჰანსენი (28, 71).*
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) – კილმარნოკი (შოტლანდია) 1-1.
*0-1 მასგოლუმი (55), 1-1 ვაზდა (66).*
მურა (სლოვენია) – დაუგავა (ლატვია) 6-1
*1-0 სიფერი (6), 2-0 ლუკიჩი (17), 3-0 სიპოტი (30), 4-0 სიფერი (32), 5-0 გალიჩი (39), 5-1 რიდნი (75), 6-1 ლუკიჩი (88).*
აკრანესი (ისლანდია ) – ჟალგირისი (ლიტვა) 3-2
*0-1 სკინდერისი (11), 1-1 ადოლფსონი (42), 2-1 ეიოლფსონი (61), 2-2 ვასილიაუსკასი (72), 3-2 ივშიჩი (86).*
ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი) – ფინპა (ფინეთი) 3-1
*1-0 სიმეტოვიჩი (30 პ), 1-1 პაუტალა (45), 2-1 ტუბი (53), 3-1 ტიკვა (64).*
შირაქი (სომხეთი) – მალმიო (შვედეთი) 0-2
*0-1 პავლოვიჩი (55), 0-2 ოლსონი (68).*
ეკერენი (ბელგია ) – სარაევო (ბოსნია) 4-1
*1-0 ვან ანკერენი (26), 2-0 მორჰაია (29), 3-0 კოვაჩი (41), 3-1 ფერატევიჩი (59), 4-1 მორჰაია (90).*
შელბურნი (ირლანდია) – რეინჯერსი (შოტლანდია) 3-5
*1-0 პორინი (7 სკ), 2.0 რაზერფორდი (41), 3-0 მორლი (58), 3-1 ალბერტსი (59 პ), 3-2 ამატო (74), 3-3 ვან ბროკჰორტსი (75), 3-4 ამატო (82), 3-5 ალბერტსი (85 პ).*
ოცელული (რუმინეთი) – სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) 3-0
*1-0 შტეფანი (30), 2-0 მიჰალაჩე (41), 3-0 მალესი (88 პ)*
უნიონი (ლუქსემბურგი) – გიოტებორგი (შვედეთი) 0-3
*0-1 ექსტრიომი (58), 0-2 ვილსონი (63 პ), 0-3 ჰერმანსონი (86)*
ფერენცვაროში (უნგრეთი) – პრინჩიპატი (ანდორა) 6-0
*1-0 ფულოპი (25), 2-0 შელემი (42), 3-0 შულცი (48), 4-0 ვამოში (63), 5-0 შულცი (75), 6-0 მატიუში (90)*
ტილიგული (მოლდოვა) – ანდერლეხტი (ბელგია) 0-1
*0-1 სტალენსი (51)*
ნიუთაუნი (უელსი) – ვისლა (პოლონეთი) 0-0
სადამი (ესტონეთი) – პოლონია (პოლონეთი) 0-2

# უეფას თასი

UEFA CUP

## კოლხეთი-1913 (ფოთი) – ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი) 0-4 (0-1)

*კოლხეთი-1913:* ქვაჩახია, გიორგაძე, ტორჩინავა, გიორგობიანი, ქობულაძე, ინალიშვილი, ღაღანიძე, მიქაბერიძე (დ. მახარაძე, 46), ნოზაძე (სუხიაშვილი, 75), გვასალია, წიწიშვილი... წიწივაძე (კალანდაძე, 37).
*ცრვენა ზვეზდა:* სევრიჩი, დუდიჩი, ბუნიევჩევიჩი, ივიჩი, ბჟეგოვიჩი, პეცელი (ვიტაკიჩი, 80), შკორიჩი, გოიკოვიჩი (სლოვიჩი, 71), აჩიმოვიჩი, პანტელიჩი, ოგნიენოვიჩი (მიჩიჩი, 60).
*გოლები:* ოგნიენოვიჩი (20), აჩიმოვიჩი (55, 75), პანტელიჩი (63).
*გააფრთხილეს:* გვასალია.
*მსაჯი:* ე. ბლერო (ბელგია).

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. ჯერ კიდევ მატჩამდე ვიცოდით, რომ მინდორზე ორი უთანასწორო გუნდი გამოვიდოდა და ჩვენებს წარმატების არანაირი შანსი არ ექნებოდათ. ასეც მოხდა – თამაშობდა ერთი გუნდი (მიგვიხვდით, ალბათ, სტუმრებისა), მეორე კი, ბედს შერიგებული, მოვალეობას უფრო იხდიდა. მართალია იუგოსლავიის ყველაზე სახელოვანი კლუბი ის აღარ არის, რაც ამ 7 წლის წინათ იყო, როცა ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასებს დაეუფლა, მაგრამ კლასით, ღმერთმა იცის, როდის მივაღწევთ მათ დონეზე. როცა გუნდი ოთხ გოლს გაუშვებს და მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზს მისი მეკარე (ამ შემთხვევაში, ქვაჩახია) მოიპოვებს, წარმოგიდგენიათ, რა ხდებოდა იმ დღეს „ფაზისის" სტადიონზე?

სტუმრებმა მატჩის პირველივე წუთებიდანვე თავისი თამაში მოახვიეს ფოთელებს და ნათელი გახდა, რომ ისინი აშკარად დომინირებდნენ ტექნიკაში, ფიზიკურ მომზადებაში, სათამაშო დისციპლინაში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნახევარმცველი აჩიმოვიჩი და გარემარბი ოგნიენოვიჩი (ამ უკანასკნელს სახელად „პერიცა" ჰქვია და მართლაც რომ ფოთელთა გუნდი გაამწარა – მატჩის შემდეგ ბელგრადული კლუბის მთავარი მწვრთნელი იტყვის: „არ გაგიგკვირდეთ, ოგნიენოვიჩი სულ მალე თვით დავორ შუკერსაც დაჩრდილავს თავისი ოსტატობით").

ფოთელთა გუნდზე რაღა ვთქვათ? ეს კოლექტივი დაახლოებით ისეთივე ძალისაა, როგორიც სხვა ქართული „გრანდები" და იმ დღეს „კოლხეთის" ნაცვლად სხვა ნებისმიერი ჩვენი გუნდიც რომ ყოფილიყო, „ცრვენა ზვეზდა" ულაპარაკოდ გაუსწორდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ეროვნული ჩემპიონატი იქ გაცილებით მაღალი დონისაა და, საერთოდ, საფეხბურთო მეურნეობა უფრო სუფთა და აწყობილი აქვთ.

დათო თავართქილაძე
(ფოთიდან)

# იაროსლავლში ყიფიანის ზეობაა

როცა ამ სამი თვის წინათ, იაროსლავლის „შინიკი" სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა საფეხურამდე დაეშვა (შარშანდელ ჩემპიონატში გუნდი IV ადგილზე გავიდა), ბევრმა იგი უიმედო აუტსაიდერად მიიჩნია და „ტიუმენთან" ერთად ჯგუფიდან გასავარდნთა სიაში შეიყვანა.

იაროსლავლის სამხარეო ადმინისტრაციამ გუნდში კარდინალური ცვლილება მოახდინა – გაანთავისუფლეს მთავარი მწვრთნელი შუბინი და მის ნაცვლად მიიწვიეს თბილისის „დინამოს" თავკაცი დავით ყიფიანი. მას შემდეგ „შინიკმა" სასიამოვნო მეტამორფოზა განიცადა: 6 გამარჯვება მოიპოვა, ერთი მატჩი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ორში დამარცხდა. რუსეთის ჩემპიონატის XVII ტურში იაროსლავლის გუნდმა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, როცა ანგარიშით 2-0 დაამარცხა გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ვოლგოგრადის „როტორი". მატჩზე დამსწრე 30 ათასი გულშემატკივარი ფეხზე ამდგარი შეეგება გუნდის ამ წარმატებას და ხმამაღლა გაიძახოდა „ყიფიანი, ბრავო!" იმავე საღამოს გუნდს გულთბილი შეხვედრა გაუმართეს იაროსლავლის სამხარეო ადმინისტრაციაში.

საქ. ინფორმაცია

**P.S. ახლა „შინიკმა" 25 ქულით VI ადგილზე გადაინაცვლა და თანდათან უახლოვდება გათამაშების ლიდერებს.**

# ინტერტოტოს თასი

UEFA INTERTOTO CUP

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები

ვალენსია (ესპანეთი) – შინიკი (რუსეთი) 4-1
ოსერი (საფრანგეთი) – ესპანიოლი (ესპანეთი) 1-1
კრისტალ პალასი (ინგლისი) – სამსუნსფორი (თურქეთი) 0-2
ლომელი (ბელგია) – ვერდერი (გერმანია) 1-3
დებრეცენი (უნგრეთი) – ჰანზა (გერმანია) 1-1
რუხი (პოლონეთი) – ამადორა (პორტუგალია) 1-1
ტვენტე (ჰოლანდია) – ზალცბურგი (ავსტრია) 2-2
სიტარდი (ჰოლანდია – ვორსკლა (უკრაინა) 3-0
ჰარელბეკი (ბელგია) – სამპდორია (იტალია) 0-1
ბოლონია (იტალია) – ნაციონალი (რუმინეთი) 2-0
ვოევოდინა (იუგოსლავია) – ბალტიკა (რუსეთი) 4-1
ბასტია (საფრანგეთი) – ალთაი (თურქეთი) 2-0

# სფფ-ს რჩეულნი

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა დაამტკიცა IX ეროვნული ჩემპიონატის ლაურეატები (საუკეთესო მსაჯების სია „ლელოს" წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ)**

## 22 რჩეული ფეხბურთელი

მეკარეები: ნიკა ტოგონიძე (დინამო, ბთ.), რამაზ სოლოღაშვილი (ოდიში); მცველები: გივი დიდავა (დინამო, თბ.), გიორგი ბალაშვილი (დილა), ლევან ცქიტიშვილი (დინამო, თბ.), მალხაზ მახარაძე (დინამო, ბთ.); გელა შეყილაძე (დინამო, ბთ.), ვაჟა თარხნიშვილი (დილა); დავით ჭიჭველიშვილი (დინამო, ბთ.), გია ჩხაიძე (ტორპედო); ნახევარმცველები: კახი კვეტენაძე (ტორპედო), ნუგზარ მიქაბერიძე (კოლხეთი-1913); რატი ალექსიძე (დინამო, თბ.), გიორგი კიკნაძე (დინამო, თბ.); დავით მუჯირი (დინამო, თბ.), ჯონი კალანდაძე (ოდიში); მიხეილ ქობულაძე (კოლხეთი-1913), შალვა ხუჯაძე (ტორპედო); თავდამსხმელები: მიხეილ აშვეთია (დინამო, თბ.), პაატა მაჭუტაძე (დინამო, ბთ.); ლევან ხომერიკი (დინამო, თბ.), გია მეგრელაძე (ტორპედო).

## 11 რჩეული 18 წლამდე ასაკის ჭაბუკი

ზურაბ ბათიაშვილი (თსუ), ზურაბ მენთეშაშვილი (რუსთავი), გიორგი შაშიაშვილი (დინამო, თბ.), დავით ბაქრაძე (ლოკომოტივი), კახი ებრალიძე (ოდიში), ქრისტეფორე შატაკიშვილი (დილა), გივი კვარაცხელია, ოთარ გველესიანი, ლადო ბურდული, შალვა აფხაზავა (ყველა – დინამო, ბთ.), გიორგი შენგელია (ტორპედო).




**იმუშავეთ ეფექტურად და ჩვენთან ერთად**

ჩვენი დანადგარები დამონტაჟებულია ავტოგასამართ სადგურებზე: „საველიჩი", „სიერა'ოილი", „მარს'ოილი", „გიოჩი", „დემეტრა"

**თბილისის საწყობიდან:**
ვულკანიზაციისა და ბალანსირების დანადგარები, კომპრესორები, 2,5 ტ. მანქანის ამწე, მაღალი წნევის ავტოსამრეცხაოები ორთქლით, ავტოაქსესუარები.

**უფასოდ:**
* შეფ-მონტაჟი
* სპეციალისტების სწავლება
* საგარანტიო მომსახურება

**FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.**

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.


## სხვადასხვა მერიდიანზე

**ველოსპორტი.** საფრანგეთში გაიმართა Tour de france-ს XI ეტაპი, რომელშიც იმარჯვა იტალიელმა მარკო პანტანიმ, მეორე იყო შვეიცარიელი მაიერი, მესამე — ამერიკელი იულიჰი. საერთო ჩათვლაში XI ეტაპის შემდეგ დაწინაურდა გერმანელი ულრიჰი, მეორეა ამერიკელი იულიჰი, მესამე — ფრანგი ჟალაბერი, მეოთხე — იტალიელი პანტანი, მეხუთე — ჰოლანდიელი ბუგერტი და მეექვსე — ფრანგი ლებლანი.

**ჩოგბურთი.** გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მიმდინარეობს „მერსედესის თასის" გათამაშება. მასპინძელმა ბორის ბეკერმა ფრანგ სედრიკ პიოლინს სძლია. მისმა თანამემამულე ულირაჰმა რუსი კაფელნიკოვი გამოთიშა ტურნირს.

**კეტბურთი.** NLB-ში (ბეისბოლის უმთავრესი ლიგა) გაიმართა მორიგი ტური: „სიეტლი" — „ტამპა ბეი" 8:3, „ტეხასი" — „კანზას სიტი" 15:5, „კოლორადო" — „ჰიუსტონი" 5:0, „პიტსბურგი" — „ნიუ-იორკ მეტსსი 0:5.

**კეთილი ნების თამაშებზე** 400 მეტრ მანძილზე რბენაში გაიმარჯვა ამერიკელმა მძლეოსანმა ჯონსონმა.

**კალათბურთი.** „ჩიკაგო ბულსის" სახელგანთქმული მწვრთნელი ფილ ჯექსონი ტოვებს გუნდს. მის ნაცვლად იმუშავებს ჯიმი ფლოიდი, რომელიც ადრე წვრთნიდა „აიოვას", „ნიუ-ორლეანს" და „აიდაჰოს" გუნდებს. რაც შეეხება სახელგანთქმულ მაიკლ ჯორდანს, ჯერჯერობით უცნობია ითამაშებს თუ არა მომავალ სეზონში.

**ქალთა** NBA-ში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები: „ნიუ-იორკი" — „ლოს-ანჯელეს სპარკსი" 92:77, „შარლოტა" — „ვაშინგტონი" 84:67, „ჰიუსტონ კომეტსი" — „ფინიქს მერკური" 65:62. დასავლეთის კონფერენციაში ჰიუსტონელები ლიდერობენ, მეორეზე კი „ფინიქსია".

მოამზადა
**გია ახალაძემ**

## ბორდოდან ღვინო და მედლები

საქართველოს ვეტერანმა ფალავნებმა ბოლო ხანებში ძალიან შეგვაჩვიეს წარმატებებს. ამ დღეებში, საფრანგეთში, ქ. ბორდოში დამთავრდა თავისუფალი სტილის ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ჩვენი ქვეყნიდან სამმა ფალავანმა მედალი დაიმსახურა. ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა შარშანდელი მეორე პრიზიორი, 50 წლის ემზარ კიკაბიძე (76 კგ), მეორე ადგილზე გავიდა ბადრი შენგელია (68), მესამეზე — ზურაბ ნიკურაძე (მძიმე).

ალსანიშნავია, რომ გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა მედლებთან ერთად ჭილდოდ მსოფლიოში სახელგანთქმული ბორდოს ღვინოც მიიღეს.

„ბუმათე"


საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი
თბილისის სპორტკომიტეტი. საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია




ПРИГЛАШАЕМ!
INVITATION!

24–25 ივლისს, თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში


## საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლე-სპორტსმენთა მიღებას 1998-99 სასწავლო წლისათვის VII და VIII კლასებში შემდეგ სპორტულ განყოფილებებზე:**

1. თავისუფალი ჭიდაობა;
2. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;
3. ძიუდო;
4. მძლეოსნობა;
5. ველოსპორტი;
6. ნიჩბოსნობა.

გამოცდები ჩატარდება:
— საერთო ფიზიკურ მომზადებაში;
— არჩეული სპორტის სახეობის სპეციალურ მომზადებაში.

ჩარიცხულ სპორტსმენთა ტესტირება სასკოლო საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა — წერითი, საქართველოს ისტორია — წერითი) მოხდება ამა წლის 8 სექტემბერს.

სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან: საცხოვრებლით, დღეში სამჯერადი კვებით, სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებით, ყოველდღიური ორჯერადი სასწავლო-საწვრთნო ვარჯიშით არჩეულ სპორტის სახეობაში და სასკოლო პროგრამის სრული კურსის გავლით.

სასწავლებელში აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. მშობლის განცხადება დირექტორის სახელზე;
2. დაბადების მოწმობა (დედანი);
3. ცნობა-რეკომენდაცია სპორტული ფედერაციიდან;
4. დახასიათება საშუალო სკოლიდან;
5. ცნობა, რომელ კლასში სწავლობს;
6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №026);
7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
8. ფოტოსურათი 3X4 (4 ცალი);
9. პირადი საქმე (ჩარიცხვის შემდეგ).

საბუთების მიღება იწარმოებს მ/წლის 10 აგვისტოდან 21 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე გარდა კვირისა, 10-დან 16 საათამდე, გამოცდები ჩატარდება მ/წლის 24-27 აგვისტოს.

*მისამართი: თბილისი, გლდანი, თიანეთის გ ზატკეცილი №25ა. სამარშრუტო ტაქსი № 128, 111, 165. ავტობუსი №69 მეტრო სარაჯიშვილიდან.*

*ტელეფონი: 67-03-44.*

სასწავლებლის დირექცია

## მორაგბეები საფრანგეთში ემზადებიან

მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირისათვის უკეთ მოსამზადებლად, საწვრთნელ შეკრებაზე საფრანგეთს გაემგზავრა საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გუნდი. დაგეგმილია 3 ამხანაგური მატჩი ტულუზის, ტულონისა და ბაზიერის კლუბებთან. ჩვენი ბორჯღალოსნები საფრანგეთში გაემგზავრნენ იქაური რაგბის კავშირის მოწვევით.




**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.



19


21


47-39


28


11

## კროსვორდი: „სამხრეთამერიკული ფეხბურთი"



**თარაზულად:** 7. არგენტინელი ნახევარმცველი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 10-11. „ვალენსიას" და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი, 12. არგენტინელი მცველი, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი, 15. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის რჩეული ფეხბურთელი, 16. პარაგვაის საფეხბურთო კლუბი, 17. ბრაზილიელი ფორვარდი, მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონი, 19. არგენტინელი მწვრთნელი *(ფოტო)*, 21. მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის რჩეული ფეხბურთელი *(ფოტო)*, 24. არგენტინელი მეკარე, მსოფლიოს 1990 წლის ვიცე-ჩემპიონი, 25. ეკვადორის საფეხბურთო კლუბი, 28. „იუვენტუსის" ურუგვაელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 31. მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის ბომბარდირი, 32. 50-60-იანი წლების არგენტინელი თავდამსხმელი, 33. ყველა დროის საუკეთესო მარჯვენა გარემარბი, 37. 1974 წლის „ოქროს ბუცის" მფლობელი, 40-41. არგენტინის ნაკრების კაპიტანი, მსოფლიოს 1962-66 წლების ჩემპიონატების მონაწილე, 42. მეხიკოს ოლიმპიური სტადიონი, 45. ჩილელი თავდამსხმელი.

**შვეულად:** 3. „რეალის" არგენტინელი მოთამაშე, 4. ბრაზილიელი მწვრთნელი, 5. არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი, 6. არგენტინელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი, 11. ბრაზილიის ნაკრების მცველი *(ფოტო)*, 12. „კაიზერსლაუტერნის" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 17. არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი, 18. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონი, 20. 60-70-იანი წლების არგენტინელი ფორვარდი, 21. წარსულში ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი, 29. ბრაზილიელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 30. პერუს საფეხბურთო კლუბი, 34. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის რჩეული მოთამაშე, 35. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 36. 1974-76 წლებში საუკეთესო სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი, 37. ურუგვაელი ფორვარდი, მსოფლიოს 1930 წლის ჩემპიონი.

**დიაგონალურად:** 13-1. მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის თილისმა, 8-22. ურუგვაის საფეხბურთო კლუბი, 2-14. მექსიკის საფეხბურთო გუნდი, 1905-12 წლების ჩემპიონი, 23-9. ბრაზილიელი ნახევარმცველი. მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი, 38-46. კოლუმბიელი ნახევარმცველი, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 43-26. ლეგენდარული მექსიკელი მეკარე, 27-44. 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 47-39. 70-80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი *(ფოტო)*.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 2. იაშინი, 4. ბრანკო, 8. კანტონა, 10. შამუგია, 12-13. ნეტცერი, 14. ხაბარელი, 18. ასპრილია, 25. „ლეგია", 29. ↑იდლე, 33. გვახარია, 36. საბონისი, 39-40. ზვერევა, 42. „რასუნდა", 44. „ადიდასი", 46. ანტიჩი, 48. სპიტცი. **შვეულად:** 3. იაკუშინი, 5. არახამია, 9. მასხიო, 11. ინძაგი, 15. ბარქაია, 16. რამპულა, 17-34. ლეივერი, 19-37. სანტანა, 20. რედონდო, 21. ლასკერი, 23. ლემიე, 24. ვიალი, 28. ნაგანო, 32. ანიელი, 35. აზარიანი, 36. საბატინი. **დიაგონალურად:** 1-26. უგრეხელიძე, 9-2. მორფი, 14-3. ხერგიანი, 27-7. ინალიშვილი, 6-11. ოზილი, 5-22. ამავისკა, 33-47. გერევიჩი, 41-46. ოკოჩა, 45-30. გრობელაარი, 31-51. ლოსაბერიძე, 49-38. იარიგინი, 50-43. ივიჩი.


**ყურადღება!**
კვირიდან — კვირამდე სპორტული გადაცემების ტელეპროგრამა ქვეყნდება „ლელოს" ყოველი სამშაბათის ნომერში.


## საჭადრაკო ამოცანა

ვ. ჩეპიჟნი (რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლb3! — ჩასაფრებით.
1. ...მფe3 2. კg5X,
1. ...მფe5 2. ლb8X სწორი შამათებით,
ჯ. ...მ — 2. ლg3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე